საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლშევიკი სიფცეკვაა, ფცეილებით და ჭიანებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 10 ივნისი. 2020 წ. №71 (8997) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ომი ლიბერასტებსა და ქართველ ხალხს შორის...

4

გუბაზ სვინგბიაძის წინასაარჩევნო ვნებანი

3

სტურუას თეატრი კვლავ ცოცხალია!

7



არიან თუ არა მატყუარა ადამიანები უფრო წარმატებულები?

11

„ქართველი მიქელანჯელოს“ დღე

მერაბ ბერძენიშვილის პიროვნება და შემოქმედება მაგალითია მომავალი თაობებისთვის... 5

მაჯლაჯუნები გამეფდნენ ქვეყნად



ვით კორიდაზე მებრძოლი ხარი,
ისე დაეცა მემორიალი...
კაცი მზაკვარი, ამფეთქებელი,
ბოროტი კვალით ისევ აქ არი.
მე გავაშენე გმირთა სავანე,
ვინც სამშობლოსთვის სისხლი გაიღო,
ვინც სიყვარულის ძეგლი აიგო,
მაგრამ ლაჩარმა ნგრევით აიღო...
„ვეფხით და მოყმით“ გამოზრდილი ვარ,
მაგრამ ვაი, რა ფუჭად გავრჯილვარ.
დედას მოფხრიწეს წმინდა მანდილი,
ასე მხეცურად არცროს დავსჯილვარ!
მაჯლაჯუნები გამეფდნენ ქვეყნად
და დააჩოქეს გმირი ქართველი,
ლეშიჭამია შავმა ყორნებმა
არწივს წარსტაცეს ბარტყნი-მართვენი.
ვაი რომ, თმენით შევცქერი ეშმაკთ,
ქვაშიაც ცეცხლის ვიყავ მგზნებელი,
ნახეს, მოვხუცდი, დავსუსტდი უკვე,
და ვაი, მკადრეს უკადრებელი!..

მერაბ ბერძენიშვილი,

2009 წლის 19 დეკემბერი, მემორიალის აფეთქების დღე

ამ ლექსის პირველად გამოქვეყნებიდან სამ წელიწადზე მეტი გავიდა (მოგვაწოდა დიდი მერაბის მეუღლემ, ქალბატონმა კირა მიქელაძემ).

მკითხველის თხოვნით ისევ ვბეჭდავთ მას...

იმედია, დღეს თუ არა, ხვალ კვლავ აღდგება დიდი ხელოვნის მიერ ჩვენი ხალხის გმირობის სადიდებლად ქუთაისში შექმნილი ხელოვნების უკვდავი ნიმუში, ეს გულიდან რისხვად ამოხეთქილი პოეტური სტრიქონები კი მარად დარჩება როგორც მავნე, ანტიქართველ ნაციონალთა ბოროტებისთვის გამოტანილი უმკაცრესი განაჩენი.

„ეროვნულის“ ცნება ბევრ ადამიანში ირონიას აღძრავს. ეს იმ ადამიანების კატეგორიაა, რომელთა „მეშვეობითაც“ ირგვლივ მიმბაძველობა მოზღვავდა. დღეს მთელი პლანეტა უნისონში მღერის, ყველგან უღიმღამო, უსახური ხელოვნებაა გაფეტიშებული, განსაკუთრებით კი – ჩვენთან...

მერაბ ბერძენიშვილი

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა პარასკევს, 12 ივნისს

გიორგი გახარია: ამ ბიუჯეტში გააზრებულია ყველაფერი და გათვლილია თითოეული რისკი

პირველ რიგში მადლობა მინდა გადავუხადო ფინანსთა სამინისტროს, ეროვნულ ბანკს, მთავრობის ადმინისტრაციის ეკონომიკურ გუნდს ერთობლივი მუშაობისთვის, პირველ რიგში ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად, როგორც ფისკალური ასევე მონეტარული მიმართულებით. ეს იყო უკიდურესად მნიშვნელოვანი, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული ეკონომიკური ჯგუფის სხდომაზე, ანტიკრიზისული ბიუჯეტის პრეზენტაციისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, კოორდინირებული მუშაობის შედეგი იყო, რომ საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა დაასრულა მოლაპარაკებები სავალუტო ფონდთან.

„კოორდინირებული მუშაობა ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, დონორებთან, სწორედ იმის შედეგი იყო, რომ ჩვენ პირველებმა დავასრულეთ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკება და ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას არც ერთი დღე არაფერი არ დამუქრებია — ეს არის აი ამ ხალხის დამსახურება. აშკარად ჩანს, რომ ანტიკრიზისული ბიუჯეტი არის სისტემური მიდგომის შედეგი, აქ გააზრებულია ყველაფერი, გათვლილია თითოეული რისკი, როგორც დროში ისევე იმ რისკებში“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

* * *

მინდა, მოვუწოდო თითოეულ ჩვენს მოქალაქეს უფრო მეტი სიფრთხილისკენ. დღევანდელი დღე აჩვენებს, რომ ჩვენ არაფრისგან დაზღვეულები არ ვართ, ჩვენი უპირველესი ვალდებულებაა მეტი სიფრთხილე.

„ჩვენი უპირველესი ვალდებულებაა მეტი სიფრთხილე, უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს და რა თქმა უნდა, ჩვენ, ყველა ერთად უნდა გავუფრთხილდეთ ქართულ ტურიზმს და თითოეულ თქვენგანს მოვუწოდებ, ვიმოგზაუროთ და დავისვენოთ საქართველოში. ეს იქნება ყველაზე დიდი მხარდაჭერა დღეს, ამ წელს ჩვენი ეკონომიკისთვის და ჩვენი ტურისტული სექტორისთვის“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

წლის ბოლომდე მთელი თანხა ჩამოვა!

უცხოეთიდან მისაღები 1.5 მილიარდი დოლარიდან ამ ეტაპზე 850 მილიონზე ხელშეკრულებები ხელმოწერილია, — ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა, ივანე მაჭავარიანმა განაცხადა ანტიკრიზისული ბიუჯეტის პრეზენტაციის შემდეგ მედიის კითხვაზე, რა თანხები მიიღო დონორებისგან უკვე საქართველომ. მისი თქმით, წლის ბოლომდე საქართველო თითქმის მთლიან თანხას მიიღებს.

„1.5 მილიარდიდან ამ ეტაპზე 850 მილიონი არის ხელმოწერილი, ნაწილი ჩამოსულია, ნაწილი ხელმოწერილია, რატიფიცირებას გადის ამ კვირაში და უახლოეს კვირებში ჩამოვა, ეს არის 850 მილიონი. დანარჩენის შემთხვევაში ხელშეკრულებებზე მიმდინარეობს მუშაობა. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ უკვე ივნისი-ივლისის განმავლობაში, რაც ხელმოწერილია, ის ჩამოვა. წლის ბოლომდე თითქმის ყველა, მთელი თანხა ჩამოვა“, — განაცხადა მინისტრმა.

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისთვის“

პარლამენტმა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები მესამე მოსმენით განიხილა.

კანონპროექტის ავტორი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროა. კანონში ცვლილებების მიზანია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესება. პროექტის თანახმად, შესაძლებელი იქნება მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭოს ქვეყნის კიდევ 58 დასახლებას, რის საფუძველზე იქ მცხოვრებ დაახლოებით 26 ათას რეგისტრირებულ ადამიანს შესაძლებლობა მიეცემათ ისარგებლონ კანონმდებლობით დაწესებული სოციალური და საგადასახადო შეღავათებით.

ოპოზიციის საერთო რეიტინგი 35-40 პროცენტი იქნება, რაც მოგვცემს საშუალებას, რომ არჩევნებში დამაჯერებლად გავიმარჯვოთ!..

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე აცხადებს, რომ დარღვეულია ის ერთობა, რომელიც ოპოზიციამ მედიასაშუალებების მეშვეობით, საზოგადოების წინაშე წარმოაჩინა. მდინარაძე მიიჩნევს, რომ ოპოზიციაში მწვავე დაპირისპირებაა.

„არ ვიცი, ვინ რა ამოღერღა ოპოზიციიდან და ერთმანეთს ასე რატომ მიმართავენ ბოლო პერიოდში, მაგრამ ფაქტია, რომ ის ერთობა, რომელიც მათ წარმოაჩინეს საზოგადოების წინაშე მედიასაშუალებების მეშვეობით, დარღვეულია. ისინი არა თუ კამათობენ, არამედ მწვავე დაპირისპირებაა ოპოზიციაში და ეს მათი გადასაწყვეტია“, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ. ამასთან, მდინარაძე ფიქრობს, რომ ოპოზიციური პარტიების საერთო რეიტინგი მხოლოდ 35-40 პროცენტი იქნება.

„საბოლოო ჯამში, მთელი ეს ერთობა მაქსიმუმ 35, კიდევ უფრო მაქსიმუმ 40- პროცენტიან ნიშაში ზის, რაც მათ უნდა გაინაწილონ. ერთ შემთხვევაში „ევროპულ საქართველოს“ ექნება 3 პროცენტი და 12 „ნაციონალურ მოძრაობას“, თუ 5 „ევროპულ საქართველოს“ და 10 „ნაცმოძრაობას“, ისინი საერთო რეიტინგს იყოფენ და ჩემი წარმოდგენით, რეალური კვლევების გათვალისწინებითაც, მათი საერთო რეიტინგი იქნება 35-40 პროცენტი, დანარჩენი იქნება მმართველი სახელისუფლებო გუნდის შედეგი, რაც ჩვენ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ არჩევნებში დამაჯერებლად გავიმარჯვოთ“, — განაცხადა მდინარაძემ.

სახელმწიფო ხელს უწყობს ქართულ წარმოებას

ჩვენ ხელს ვუწყობთ ქართულ წარმოებას, რათა ქართული პროდუქციით დავაკმაყოფილოთ ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნა. მნიშვნელოვანია, რომ ერთი თვის წინ დაწყებული მოსამზადებელი სამუშაოები წარმატებით დასრულდა და ტრადიციების მქონე აგარის შაქრის საწარმომ მუშაობა განაახლა. დღეს ქარხანა სრული დატვირთვით მუშაობს და დღეში 500 ტონამდე შაქარს აწარმოებს, რაც იმპორტის ჩანაცვლების კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯია. ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, — ამის შესახებ დღეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა აგარის შაქრის ქარხანაში ვიზიტისას განაცხადა.

„საწარმო, იმ მხარდაჭერის პირობებში, რომელიც სახელმწიფომ შექმნა სხვადასხვა პროგრამის სახით, შეძლებს წარმატებულ საქმიანობას. ახლა ძალიან აქტიური პერიოდია სურსათის, როგორებიცაა მურაბები, ჯემები და სხვა წარმოების კუთხით. მნიშვნელოვანია, რომ გვქონდეს ადგილობრივი, ხარისხიანი ნედლეული კონკურენტუნარიან ფასად, ეს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. აგარის შაქარი ჩვენს ბაზარზე წარმატებული იქნება“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა. აგარის შაქრის ქარხანა ერთ-ერთი პირველია, რომელიც მთავრობის ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობის პროგრამის საფუძველზე ამოქმედდა. ქარხანაში 500 ადგილობრივია დასაქმებული და პროდუქციის დღიური წარმადობა 500 ტონამდეა.

რუსთავი „მკურნალობას“ ითხოვს!

ლია წერილი პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ არჩილ თალაკვაძეს

ბატონო არჩილ, უნდა შეგახსენოთ, რომ ამ რამდენიმე თვის წინათ, რუსთავში საზგადოებასთან შეხვედრისას, თქვენ მომიწონეთ თაოსნობა და საქმიანი წინადადებები ქვეყნის მძიმე დემოგრაფიული ვითარების გამოსწორებასთან დაკავშირებით და აღმითქვით შეხვედრა.

სამწუხაროდ, მიუხედავად ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატის, ძირძველი გენეტიკური გვარის, ერისკაცის პაატა მხეიძის მცდელობისა, ქვეყანაში არსებული მძიმე ვითარების და პანდემიის გამო, ეს შეხვედრა დღემდე ვერ შედგა.

არადა, ჩემი წინადადება საჭიროებს განხილვას. ახლა როცა ახლოვდება საპარლამენტო არჩევნები, ქვეყანაში ვითარება თანდათან მყარდება, კიდევ ერთხელ დაბეჯითებით გთხოვთ, მიმიწვიოთ შეხვედრაზე, რათა გაგაცნოთ როგორც ქვეყნის ასევე საქართველოს ერთ-ერთი მთავარი ინდუსტრიული ცენტრის რუსთავის განსაკუთრებით საგანგაშო დემოგრაფიული ვითარება.

აქვე დიდი გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილის პრემიერობის ჟამს ერთხელ მასთან შემდგარი შეხვედრის შემდეგ, როდესაც ათასობით რუსთაველი შეიკრიბა, ქვეყნის სხვა მესვეურთაგან არც არავინ ჩამოსულა ჩვენს ქალაქში და არც არავინ დაინტერესებულა მისი ბედით!

ამადაც, კიდევ ერთხელ დაბეჯითებით გთხოვთ, შეხვედრაზე მიწვევას!

გივი ჯახუა,
რუსთავში დემოგრაფიული საზოგადოების დამფუძნებელი, მწერალი, ჟურნალისტი, რუსთავის საპატიო მოქალაქე.

ქართველი სამხედროები მზადების ბოლო ეტაპს გერმანიის ნაცვლად საქართველოში გადიან

ავღანეთში ნატოს ეგიდით მიმდინარე მტკიცე მხარდაჭერის მისიის (RSM) გადასროლისწინა მომზადების ამოცანის რეპეტიციის წვრთნა (MRE), ამერიკელ სამხედროებთან ერთად, წელს პირველად საქართველოში ტარდება, — იუწყება საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

უწყების ცნობით, ქართველი სამხედრო მოსამსახურეები საერთაშორისო მისიისთვის მზადების ბოლო ეტაპს გერმანიაში გადიოდნენ, სადაც მათი საბოლოო შეფასება ხდებოდა, დღეს კი, აღნიშნული წვრთნები უკვე საქართველოს თავდაცვის ძალების ბაზაზე ტარდება.

„აღნიშნული სწავლების საქართველოში ჩატარება ადასტურებს საქართველოს თავდაცვის ძალების ნატოს სტანდარტებთან თავსებადობის მაღალ ხარისხს და ცხადყოფს, რომ საქართველოს გააჩნია რესურსიც და შეესაძლებლობაც, რომ საერთაშორისო დონის წვრთნები საქართველოს ტერიტორიაზე წარმატებით ჩაატაროს. საერთაშორისო მისიაში მონაწილეობის მისაღებად პირველი ქვეითი ბრიგადის მე-13 ქვეითი ბატალიონი ემზადება. დღეს, ვაზიანში 3 სასწავლო ზოლი მოეწყო - პირველმა ქვედანაყოფმა კორდონისა და ჩხრეკის ოპერაცია შეასრულა, მეორე ქვედანაყოფი ბაზის დაცვაზე იყო პასუხისმგებელი, ხოლო მესამე ქვედანაყოფი დაშავებულების გამოყვანა-გადარჩენას უზრუნველყოფდა. დასკვნით წვრთნებში, რომელიც 4-თვიანი ინტენსიური მომზადების ბოლო კომპონენტია, მონაწილეობას დაახლოებით 600 სამხედრო მოსამსახურე იღებს. შეფასდება წვრთნისა და სწავლების თითოეული ეტაპი, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს ქვედანაყოფის მისიის შესრულებისთვის მზადყოფნის დონეს. სწავლება 5 ივნისს დაიწყო და 15 ივნისს დასრულდება. ავღანეთში გადასროლისწინა მომზადების ჩატარებას უზრუნველყოფს ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაცია — სამშვიდობო ოპერაციების წვრთნების ცენტრი (PKOTC) ერთობლივად, ორმხრივ ფორმატში, აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის (USMC) წარმომადგენლებთან. დღემდე, გადასროლის პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 18,000-მა ქართველმა სამხედრომ გაიარა შესაბამისი წვრთნა და ამერიკელებთან ერთად იმსახურა ISAF-ისა და RSM-ის ოპერაციებში“.

ნათია თურნავა:
მერწმუნეთ, წლეულს რამდენიმე ახალი პროექტი დაიწყება

თველოში რამდენიმე ახალი საწარმოს ან პროექტის დაწყების“, – აღნიშნა ნათია თურნავამ.

მარტივი არაა, პანდემიის დროს დაარწმუნო კომპანიები, რომ საქართველოში გადმოიტანონ ახალი ბიზნესები, მაგრამ ჩვენ ამისთვის გვაქვს ყველა წინაპირობა, – ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა, ნათია თურნავამ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„ის მიმზიდველი საინვესტიციო გარემო, რომელიც ჩვენ აქამდე შევქმენით ახლა საკმარისი არ არის და ამიტომ იმ, პოსტკრიზისულ გეგმაში, რომელზეც ჩვენ ვმუშაობთ და დაახლოებით ერთი თვე დაგვჭირდება ამისთვის, ჩვენ ავსახავთ კიდევ უფრო მიმზიდველ საინვესტიციო პაკეტს ახალი ინვესტორების მიმართ და მერწმუნეთ, ამ წელს თქვენ გახდებით მომსწრეები, საქარ-

ერთიანი ეროვნული გამოცდები



ერთიანი ეროვნული გამოცდები 6 ივლისს დაიწყება და 25 ივლისს დასრულდება.

საგრანტო კონკურსი 25 ივლისს გაიმართება, ხოლო სამაგისტრო გამოცდები 1-ელი აგვისტოდან 4 აგვისტოს ჩათვლით ჩატარდება. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციის შესაბამისად, გამოსაცდელთა და მეთვალყურეთა დაშვება მოხდება მხოლოდ ყოველი საგამოცდო სექტორის ფართობის 50 %-ზე.

საგამოცდო ცენტრების თითოეულ სექტორში წელს 10 გამოსაცდელზე მეტი არ დაიშვება. ყოველი სამუშაო მაგიდა წინა მხრიდან აღჭურვილი იქნება გამჭვირვალე დამცავი ფარით/ბარიერით, მაგიდებს შორის სიგანეში დაშორება იქნება 2 მეტრი, ერთმანეთის მიმდევრობით განლაგებულ მაგიდებს შორის მანძილი კი - 1 მეტრი. გარდა ამისა, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი თითოეულ გამოცდაზე ყოველ გამოსაცდელს შესთავაზებს პირბადეს.

ს ა ჩ ხ ე რ ე - რ ა ჭ ი ს დ ა მ ა კ ა ვ შ ი რ ებ ელ ი გ ზ ი ს ს ა მ შ ე ნ ებ ლ ო ს ა მ უ შ ა ო ებ ი ა ქ ტ ი ურ ა დ მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინფორმაციით, პროექტის ღირებულება 1 101 000 ლარს შეადგენს და მას საავტომობილო გზების დეპარტამენტი აფინანსებს.

მხარის რწმუნებული არჩილ ჯაფარიძე, პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატთან გოჩა ენუქიძესთან და ონის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, სამუშაოების მიმდინარეობას გუშინ ადგილზე გაეცნო.

სამუშაოებს 4 მარტიდან კომპანია „ნიუ როუდი“ ახორციელებს. პროექტის მიხედვით, ზემო იმერეთი-რაჭის საავტომობილო გზა გაივლის სარეკს, ქვემო ხევს, უზუნთას, ხარისთვალს, შქმერს, უშოლთას, ბოყვას, კვაშხიეთს, ზუდალს და ონის უკვე არსებულ საავტომობილო გზას შეუერთდება. საჩხერე-ონის დამაკავშირებელი ახალი გზა საერთო სიგრძით 51,6 კილომეტრი იქნება. პროექტის ფარგლებში 7 ხიდი აშენდება.

აღნიშნული პროექტი რეგიონის მცხოვრებლებს დედაქალაქთან კავშირს მნიშვნელოვნად გაუმარტივებს, ვინაიდან საგრძნობლად შემცირდება თბილისიდან რაჭის მიმართულებით გადაადგილების დრო და მანძილი. ახალი გზა ონიდან – 5 კმ-ით, ხოლო ამბროლაურიდან 20 კმ-ით იქნება დაშორებული.

პ ი რ ბ ა დ ი ს ტ ა რ ე ბ ა ზ ე უ ა რ ი ს თ ქ მ ი ს გ ა ა მ ო ა ბ ი ტ უ რ ი ე ნ ტ ი გ ა მ ო ცდ ი დ ა ნ მ ო ი ხ ს ნ ებ ა!

განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული უსაფრთხოების წესების თანახმად, წესების დარღვევის დროს, მათ შორის, ნიღბის მოხსნის, სოციალური დისტანციის დარღვევისა და ხელების დამუშავებაზე უარის თქმის შემთხვევაში, აბიტურიენტი შენიშვნას მიიღებს, ამ წესების ხელმეორედ დარღვევის შემთხვევაში კი გამოცდიდან მოიხსნება.

წესების თანახმად, აბიტურიენტმა გამოცდის დღეს თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და საგამოცდო ბარათი; ასევე, სურვილის შემთხვევაში, სამედიცინო პირბადე, წყალი პლასტმასის ბოთლით და გელიანი (ე. წ. ტუშის) შავი ფერის კალამი 0,5-0,7 მმ. ბურთულიანი წვერით.

გამოსაცდელებმა უნდა იხელმძღვანელონ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მკაცრად განსაზღვრული მითითებებით:

აბიტურიენტებს PSR კვლევა უფასოდ ჩაუტარდებათ

სახელმწიფო და კერძოდ, დაავადებათა კონტროლის ცენტრი, რა თქმა უნდა, აბიტურიენტებს უფასოდ, გადასახადის გარეშე ჩაუტარებს PSR კვლევას. მათ ამისთვის არ ექნებათ არავითარი ფინანსური ტვირთი“, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა, ამირან გამყრელიძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, თუ გამოცდებამდე რამდენიმე დღით ადრე აბიტურიენტს კორონავირუსისთვის დამახიათებელი სიმპტომები აღენიშნება, მან ოჯახის ექიმს უნდა მიმართოს.

◎ არ გაინძრეთ, ჩიტი გამოფრინდება!

გ უ ბ ა ზ ხ ვ ი ნ გ ი ა ძ ი ს წ ი ნ ა ს ა ა რ ჩ ე ვ ნ ო ვ ნ ე ბ ა ნ ი

წინასაარჩევნო ტყუილი, როგორც წესი, ერთ-ერთი ყველაზე მიღებული, ყველაზე გავრცელებული, ყველაზე წარმატებული ხერხია.

წინასაარჩევნოდ იტყუება ყველა, ისიც, ვინც საერთოდ არ იტყუება და ისიც, ვინც ყოველთვის იტყუება: ნაცები – ორთოდოქსებიც და ევრონაცებიც, ოცნებელები, ლელოელები, ნინოელები, შალიკოელები, რესპუბლიკელები, სულ წყვილ-წყვილად აფრენენ...

მთავარია რაღაც ახლის, უჩვეულოს, სხვებისგან განსხვავებულის მოძიება და ამომრჩევლისთვის ყბაში გალაწუნება.

იტყუებიან პარტიები, მოძრაობები, ინდივიდები...

ათადან-ბაბადან ასე იყო და დღესაც ასეა...

გუბაზ სანიკიძე, როგორც მოგეხსენებათ, ცნობილი ქოსატყუილაა, მაგრამ იმ დღეს ინგას „რეაქციაში“ რომ იტყვიან, თავის თავს გადაახტა, ორი ისეთი რამ დაახეთქა, ხვინგიაძეს რომ არ მოლანდებია, ინგაც კი გააოცა და უფრორე აახმაურა.

ჩვეულებისამებრ ივანიშვილს გადასწვდა ერისადმი მიმართულ სიტყვა-მანიფესტში, ათრია, რა არ უძახა, ბოლოს ტელემაყურებელი „დაამშვიდა“, გავაგდებთ ამ ივანიშვილს, ივანიშვილი კი არა, თემურ ლენგი გავაგდეთ აქედანო.

არ დაუზუსტებია თემურ ლენგის აქედან გამგდებთა ვინაობა, ოღონდ მათში თვითონაც რომ მოიაზრებოდა, ნაღდია.

გასაკვირი არაფერია, ძვირფასო მკითხველო, ბავშვები ყველანი ვყოფილვართ და გვახსოვს ბავშვურ

ოცნებებში, რამდენჯერ მოვხტომივართ ცხენს და დაგვიფრენია არაბები, მონღოლები, ოსმალები, სპარსელები... ცხადია, გუბაზს უფრო გამძაფრებული ჰქონდა პატრიოტული გრძნობები მამამისის, ცხონებული ლევან სანიკიძის სულ ქართული გამარჯვებების მეხოტბე წიგნების კითხვით. ჰოდა, ჩვენი ამომგდები კოჭლი ავაზაკის ყოველ შემოვარდნაზე აისხამდა ხოლმე ფარხმალ-შუბ-ლახტს და ეკვეთებოდა. ის-ის იყო მიეწეოდა, მისთვის კბილებში თავის მოსაჭრელად, მაგრამ ცხენი ვეღარ ზიდავდა და გულგახეთქილი თემური გაასწრებდა ხოლმე საქართველოდან.

ის ოხერი ცხენი რომ არ გაოჩნებოდა, ხომ გადაარჩენდა სამშობლოს წყეული ლენგის რვაგზის უსასტიკესი აოხრებისგან მხნე გუბაზი. და ახლა სამარყანდში, დიდებულ მავზოლეუმ „გურ ემირში“ მწოლი უძლეველი სარდალი გაოცებული ბორგავს, ნეტა რას როშავს ეს გუბაზი, როდის დამამარცხეს და გამომაგდეს ქართველებმაო.

არ გვინდა, ღრმად პატივცემულო გუბაზ, ასეთი გამოგონილი გამარჯვება 500 წლის შემდეგ.. ვაუკაცურად მოვინელოთ მაშინ ნაწვნევი საშინელი მარცხი. მხოლოდ ჩვენ ხომ არა, სპარსეთი და ინდოეთი, ლამის ნახევარი მსოფლიო მოასომორგომორა იმ კაცმა... მაგრამ შენ და შენი ნაცები მიჩვეული ხართ ისეთ გამარჯვებებს, 2008 წელს რომ იზეიმეთ ცხინვალთან!

ეს ერთი.

ახლა მეორე.

იმავე გადაცემაში ისტორიკოსმა, სარდალმა და პოლიტიკოსმა გუბაზმა ასეთი მამალი ტყუილიც იკადრა: რა ივანიშვილმა, რის ივანიშვილმა, 2012 წელს ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება „ქართული ოცნების“ კოალიციამ დაამარცხა, ძირითადად „ეროვნულმა ფორუმმაო“. თვითონ ფორუმის წევრი გახლდათ და ბოლოს და ბოლოს ვირეშმაკურად გაგვიმხილა ისტორიული სიმართლე – თურმე ვის დაუმარცხებია სააკაშვილი.

ჩემი დასაცავი არც ბიძინა ივანიშვილს სჭირს რამე, არც „ქართულ ოცნებას“. გუბაზმა აიღოს და თვით მიშა სააკაშვილს ჰკითხოს (დღეს ხომ მისი მეგობარია), ვინ გამოსჭრა ყელი 12-ში, ბიძინამ თუ „ფორუმმა“ (ანუ გუბაზმა) და რა ხვითოსაც დაიჭერს, იმასაც ნახავს!

ცნობილ მწერალსა და ისტორიკოსს ლევან სანიკიძეს აქვს გახმაურებული წიგნი „309 ქართული სირცხვილი“, სადაც გამოწვლილვით აქვს დათვლილი ჩვენი ყველა წახდენა და ჩამომცრობა. მაგრამ ეს გამოთვლა არასწორია, 310-ე აკლია – ცრუ გუბაზი, გუბაზ ხვინგიაძე!..

ალეკო ასლანიშვილი

ომი ლიბერასტებსა და ქართველ ხალხს შორის...

ბრძოლა დაიწყო. დიახ, აგრესიულ ლიბერალიზმსა და ნორმალური ცხოვრების წესს შორის მიმდინარე ბრძოლა, რომელიც აქამდე მხოლოდ რაღაც „რეზოლუციებით“, „შეშფოთებებით“, იდიოტური განცხადებებით, „ტაბურეტკებითა“ და გინებით მიმდინარეობდა, ხელჩართულ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

და ეს მოხდა არა რომელიმე აზიურ ქვეყანაში, არამედ აგრესიული ლიბერალიზმის მთავარ ციტადელში - ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მოკლედ ვიტყვი – სრულიად შესაძლებელია, რომ ამ წერილს საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდეს და დამამუნათოს იმაში, რომ რაღაც „შეთქმულების თეორიის“ გავლენის ქვეშ მოვექეცი, მაგრამ ის რაც ხდება როგორც მსოფლიოში, ასევე ჩვენს თავს (და ჩვენს თავს უფრო მტკივნეულად, რადგანაც პატარა ქვეყანა ვართ), აშშ-ში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადი გახადა.

აგრესიული ლიბერალიზმი ნელ-ნელა შემოვიდა და ხალხის ცნობიერებაში ფრაზით „აქვს არსებობის უფლება“, საკმაოდ მყარად დამკვიდრდა.

საარჩევნო პროცესები დღევანდელი ქართული პოლიტიკის ის აქილევსის ქუსლია, რომლის მართვა და მასზე გავლენის მოპოვება ქართველი აგრესიული ლიბერალების უმთავრესი მიზანია.

სამწუხაროდ, ეს „ქუსლი“ მმართველ პოლიტიკურ ძალაში ჩაბუდებული იდეურად აგრესიული ლიბერალების „წყალობით“ საკმაოდ გაშიშვლებულია და მასზე ყოველდღიურად საკმაოდ მტკივნეული დარტყმები ფორსირებულად ხორციელდება.

მათთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს დღევანდელ გამოწვევებს. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას „კოვიდ 19“ მძვინვარებს, თუ ეკონომიკა სერიოზული პრობლემების წინაშე დგას.

მათთვის მთავარია, ებრძოლონ ხალხის ერთიანობას, ებრძოლონ იმათ, ვინც ცდილობს არსებული სიტუაციიდან ქვეყნის გამოყვანას, მის გადარჩენას და... ბავშვებს ასწავლონ „ვინ დაააკუკა თავზე თხუნელას“ (ამ რამდენიმე წლის წინ ტად საინტერესო კვლევიდან: „ბრძოლა, რომელიც მსოფლიოს მნიშვნელოვნად შეცვლის.

იმისათვის რომ უფრო ცხადი გახდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე პროცესების ხასიათი, უპრიანია, გავარკვიოთ თუ რა იდეოლოგიურ კონცეფციაზე დგას პრეზიდენტ ტრამპის გუნდი, თუ როგორია მათი ფუნდამენტური შეხედულებები ამერიკის აწმყოსა და მომავალზე.

ამერიკული კონსერვატიზმი იგივე ნეოკონსერვატიზმი, რაც კონსერვატიული ახალი მემარჯვენეობითაც არის ცნობილი, ხელისუფლებას განიხილავს სოციალური სტაბილურობის ქვაკუთხედად, ხოლო პრიორიტეტს – ოჯახს, სარწმუნეობას და ტრადიციულ ღირებულებებს ანიჭებს. ამერიკელებს ყავდათ დიდი კონსერვატორი პრეზიდენტი რონალდ რეიგანის სახით. თავის მხრივ ამერიკული კონსერვატიზმი დგას არა პროტექციონიზმზე, ან იზოლაციონიზმზე, რასაც ჩვენთან არასწორად ესმება ზოგჯერ ხაზი, არამედ ედმუნდ ბერკის იდეაზე – შევცვალოთ, რათა შევინარჩუნოთ.

რისო ხასიათსაც გავითვალისწინებთ, ესაა ბრძოლა, რომელიც მსოფლიოს მნიშვნელოვნად შეცვლის“.

საქართველოში კი აშშ-ში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ოდნავ „უცნაური“ სიტუაციაა.

მაშინ როცა ძალიან ნათლად ჩანს, რომ ის ბაკქანალია რაც მსოფლიოს ლიდერ სახელმწიფოში ხდება, არის ე.წ. აგრესიული ლიბერალიზმის უკვე შეიარაღებული ბრძოლა ნორმალური, ჯანსაღი ცხოვრების წესის წინააღმდეგ, რაშიც ძალიან „წარმატებით“ იყენებენ მაროდიორებს და სხვა დესტრუქციულ ელემენტებს, ქართველი ლიბერასტებს შეფასებებზე სრული იგნორი აქვთ გამოცხადებული და ნებისმიერი გამოსვლის დროს, ისევ იმ მდაბიო და „ბლაგვ“ (тупой) ტექსტებს ატრიალებენ, რომლებიც საზოგადოებაში თანადგომის ნაცვლად უკვე დიდ გაღიზიანებას იწვევენ.

გაღიზიანებას იწვევენ იმ „რევოლუციური აღტკინებითა“ და განცხადებებით, რომლებსაც ყოვლად უსახელო პოლიტიკანები აკეთებენ.

რევოლუცია რომ მოაწყო, ამისთვის ერთი უმარტივესი პირობა უნდა არსებობდეს და რამდენიმე თავად უნდა შექმნა:

• ზემოურებს არ უნდა შეეძლოთ და ქვემოურებს არ უნდა სურდეთ ასე ცხოვრება.

• დღეს საქართველოში არის საკმაოდ საინტერესო მოცემულობა – ზემოურებს მართვა შეუძლიათ და ქვემოურებს მართვის ეს ფორმა მოსწონთ, მაგრამ ზემოურები თავად ქმნიან იმ სიტუაციას, რომ ქვემოურებს ბოლომდე ამოუვიდეთ ყელში მათი ლოიალური და პოლიტკორექტული დამოკიდებულება აშკარა მტრებთან, რაც თავის თავში რევოლუციის წინაპირობა ნამდვილად არ არის, მაგრამ თუ რამე მოხდა, ამ შემთხვევაში ყველა პოლიტიკური ძალა ხალხისგან განადგურდება.

• უმთავრესი პირობა რაც რევოლუციონერებმა უნდა შექმნან, არის – მარატი, ლენინი, ტროცკი, რობერსპიერი, ლიბკნეხტი და თუნდაც ემილიან პუგაჩოვი, რომლებიც დღევანდელი საქართველოს ლიბერალურ პოლიტიკურ სპექტრში არ არსებობს.

• აუცილებელია „ავრორა“ და შეიარაღებული მთვრალი მატროსები, რომელთაც ზურგში ლატვიელ მსროლელთა პოლკის ხიშტები ექნებათ მიბჯენილი.

აუცილებელია მატროსი ჟელეზნიაკი, რომელიც პარლამენტში შევარდება და პარლამენტარებს მაუზერის მუქარით სახლებში გაყრის.

ეს არის ის აუცილებელი პირობები, რომელთა არსებობა განაპირობებს რევოლუციას და არა ვიღაც მდაბიო და გონებრივად ჩამორჩენილი ტიპების იდიოტური ფბ პოსტები.

წიგნები წაიკითხეთ თქვე ბოლომდე დაუმზადებელო ბაქიბუქა არარაობებო და რევოლუციებზე ან პოლიტიკოსობაზე მერე იფიქრეთ.

ერთი რამ მინდა ვკითხო ამ ლიბერასტებს (სულერთია ამერიკელი იქნება, თუ „ჩვენი“):

– კაი, ვთქვათ და პოლიცია გაიწია და შეგიშვათ იმ პარლამენტში, ან თეთრ სახლში.

მერე სად მიდიხართ?

აი ის მაგარი ჯიგარი ამერიკელები რომ გამოვიდნენ იარაღებით თავიანთი ოჯახების პედარასტებისგან დასაცავად და მსგავსი საქართველოშიც რომ იქნება, იმათ ლომჯარიას და კოჟორიძეს დაუპირისპირებთ?

წერილის ბოლოს ძალიან არაპოპულარული რამ უნდა ვთქვა, მაგრამ უკვე ამოვიდა ყელში 20 ივნისის ღამეს ე.წ. „დაზარალებულებზე“ „ჩახვეული“ ლაყაფი.

დიახ ამოვიდა, რადგანაც თანაგრძნობა უკვე ორი ძალიან ლეგიტიმური შეკითხვით შეიცვალა – მძარცველთა ბანდას ბანკის „გატანა“ რომ უნდოდეს, მე მათთან ვტრიალებდე, ვამხნევებდე, მომავალი „კუშით“ აღვფრთოვანდებოდე და ძარცვის პროცესის დროს „პრიკუშში“ მოვყვე, „დაზარალებული“ ვიქნები, თუ მოძალადე? და მეორეც – მელიქიშვილზე დამტვრეული მანქანები და მოსახლეობის ფანჯრებში ნასროლი ქვებიც „მშვიდობიანი პროტესტის“ შემადგენელი ნაწილია?

კიდევ ერთხელ ვიმეორებ – ომი ლიბერასტებსა და ნორმალურ ადამიანებს შორის დაიწყო. შედეგი ცნობილია, რადგანაც ზუსტად ისე, როგორც გებელსმა ვერ აასრულა დანაპირები – ჩვენ წავალთ, მაგრამ კარებს მაგრად გავიჯახუნებთო, ეს ბრიყვი არსებებიც ვერ გაიჯახუნებენ.



გია გაბრიჭიძე

არ დავიწყებ ისტორიულ წიაღსვლებს, მაგრამ ყველამ ვიცით, თუ როგორ მკვიდრდებოდა ფაშიზმი და ბოლშევიზმი. ვიცით ის, თუ როგორ მოდიოდნენ ისინი დიდი სახელმწიფოების მმართველობაში და ვიცით ის შედეგებიც, რაც ამ ყველაფერს მოჰყვა.

ჩვენ ასე თუ ისე შედარებით ნაკლები დანაკარგებით გამოვდიოდით იმ უბედურებებისგან, მაგრამ აგრესიულმა ლიბერალიზმმა საკმაოდ დიდი ზიანი უკვე მოგვაყენა.

ფაშიზმისა და ბოლშევიზმის გავრცელება ჩვენთან იმ სისწრაფით ვერ ხდებოდა, რადგანაც მაშინ მწირი კომუნიკაცია იყო და მწირი ფინანსები იხარჯებოდა.

აგრესიული ლიბერალიზმის შემთხვევაში საექსპერიმენტო თვალსაზრისით ჩვენსკენ ფინანსების საკმაოდ სოლიდური თანხები წამოვიდა ჯერ ე.წ. არასამთავრობო სექტორის, ხოლო შემდეგ გარკვეული პოლიტიკური პარტიების მიმართულებით.

მათ საკმაოდ დიდი გავლენა დაამყარეს საინფორმაციო საშუალებებზე და საზოგადოებას სწორედაც რომ ბოლშევიკურ-ფაშისტური მეთოდებით მოუსპეს ალტერნატიული აზრის მიღების უფლება. მოუსპეს რეალური მსჯელობის და ამ მსჯელობიდან საღი აზრის გამოტანის საშუალება.

არ დავიწყებ იმ მეთოდების ჩამოთვლას, რასაც „ქართველი ლიბერალები“ იყენებენ, რადგანაც ეს ყველასთვის ცნობილია. რწმენის, განათლების, ჯანსაღი ურთიერთობის წინააღმდეგ განხორციელებულ დარტყმებს, ფაქტობრივად, არაფერი წინააღმდეგობა არ ხვდებოდა, ხოლო მოწინააღმდეგენი მაშინვე ირაცხებოდნენ როგორც „ბნელები“, „რუსული გავლენის ქვეშ მყოფნი“ და ყოველგვარი პროგრესულის მტრები.

გავიმეორებ შესანიშნავი ანალიტიკოსის გიორგი ცუცქირიძის სიტყვებს: „დღეს რაც ვაშინგტონში და ამერიკის სხვა ქალაქებში ხდება, ეს არის კარგად მართული პროცესი, დემოკრატების და მეოთხე ლიბერალური ინტერნაციონალის ღია ომი პრეზიდენტ ტრამპის წინააღმდეგ, შავკანიანი მოსახლეობის და არა მხოლოდ, მთლიანად ფერადკანიანი ამერიკელების აჯანყების მიზნით და საარჩევნო ხმების წასართმევად.“

საბავშვო სახელმძღვანელოებში შეტანილი უსაზიზღრესი „მოთხრობა“).

მედია, რომელიც ფაქტობრივად ოკუპირებული აქვთ „ცივილურად“ და „დასავლურად“ მოაზროვნე თხუნელებს, არ ინტერესდება, თუ ვინ აკუკებს თავზე.

ამას კი ის უმწეო აზროვნება იწვევს, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალა ფული, იმ ფულით შვებულების დროს სადმე მილანის ტუალეტში გადაღებული სელფია მთავარი.

მთავრია ისეთი უაზრო სიტყვების რახარუხი, როგორიცაა მაგ: სერაპრელევანტურად გამოკვლეული მოწყვლადი ჯგუფის ავთენტური იმპლემენტაციის ორკესტრირების ნარატივი.

და ჰგონიათ, რომ რაც უფრო მეტ მსგავს უაზრობას იტყვიან, მათი „ჟურნალიზმი“ (ვინმე თეა ადეიშვილის საყვარელი სიტყვა), უფრო მაგარი იქნება.

სწორედ ამიტომ ხდებიან აგრესული ლიბერალების ბოკერიას, ლომჯარიას, სალაძის და მათი კლასტერის სხვა „ლიდერების“ მონები და როგორც ყველა მონას, ბატონის იდეის ყოველგვარი რევიზია, პირად მტრობად მიაჩნიათ.

ეს კი გაუნათლებლობის ბრალია, რადგანაც თავისუფლება განათლებაშია.

მათ ხშირად ტროცკისტებს ადარებენ.

არა ბატონებო, ტროცკიზმთან მათ არანაირი კავშირი არა აქვთ. ისინი, ფაქტობრივად, იმ მონღოლების სულიერი შთამომავლები არიან, რომლებიც ამტვრევდნენ ყველაფერს, რისი არსიც არ ესმოდათ.

მათ არ ესმით სიყვარულის, მეგობრობის, ერთგულების, სამშობლოს არსი და სწორედ ამიტომაცაა მათი ბრძოლა ეკლესიის, ოჯახის, განათლებული მომავლის წინააღმდეგ მიმართული.

არ მინდა კონკრეტულად იმ მედიასაშუალებების ჩამოთვლა, რომლებიც სუბუდაი ბაღათერის (ჩინგიზ ხანის მარჯვენა ხელი) ტუმენივით (10 000 მეომარი) იბრძვის ამ ყველაფრის დასანგრევად.

არ მინდა, რადგანაც ყველამ კარგად ვიცით მათი სახელები და ვიცით, რომ „მათი სახელი ლეგიონია“!

და ისევ ამონარიდი გიორგი ცუცქირიძის მე-

კონსტიტუციურად ტრამპის შემდეგ მთავარი პოლიტიკური ფიგურა არის ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი, რომელიც იმდენად გამოხატული ქრისტიანული, კონსერვატიული და ანტილიბერალური პოზიციით არის ცნობილი, რომ დასავლური ლიბერალური მედია, მას „ქრისტიან შოვინისტად“ მოიხსენიებს, ხოლო ქრისტიან-კონსერვატორებს სულაც „ქრისტიან ექსტრემისტებადაც“ კი თვლის. პენსი დღეს ამერიკული კონსერვატიზმის მთავარი ბურჯიც არის.

საქართველოში გამოკვეთილი კონსერვატორული პოლიტიკური ფლანგის და მედიაპლატფორმის არქონის პირობებში, გასაკვირი სულაც არ არის, რომ პენსი ჩვენი საზოგადოებისთვის პრაქტიკულად უცნობი პოლიტიკური ფიგურაა, მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელს 2-დღიანი ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში. ღია კონსერვატორული ფლანგის არქონა პოლიტიკურ სივრცეში კარგი სულაც არ არის, მით უმეტეს როდესაც ერთ მხარეს დგას რადიკალური ლიბერალიზმი თავის განშტოებებით – ნაცებით და ევრონაცებით. ქართული პოლიტიკური სისტემის მთავარი სისუსტეც ეგ არის, ე.წ შუას ამერიკულად The middle, არ არსებობა, რაც სისტემას გაცილებით მეტ მდგრადობას და ბალანსირების უნარს შესძენდა. „პატრიოტთა ალიანსი“ ატარებს კონსერვატიზმის ელემენტებს, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ.

ამერიკული მმართველი ძალის იდეოლოგიური ბაზისი რომ კარგად გავაცნობიეროთ, უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაში მყარად დამკვიდრებული რადიკალური ლიბერალური ნარატივი მათთვის არათუ უცხო, არამედ პრინციპულად მიუღებელია. ამერიკელი ნეოკონსერვატორებისავის მთავარი მტერი სწორედ რადიკალური სეკულარიზმია. ზოგიერთი მკვლევარი უფრო შორსაც მიდის და თვლის, რომ – მათ უნდათ ხელისუფლება, რომელიც ღმერთისგან იმართება და რაც ერთ-ერთი ლეგიტიმური ხელისუფლებაა.

ტრამპის გუნდში პენსი ცნობილია თავისი ღია კონსერვატიზმით, ითვლება, რომ იგი ყოველთვის მყარად იდგა ქრისტიანობის ინტერესების დაცვის პოზიციაზე, ემხრობოდა აბორტების აკრძალვას და ყოველთვის გამოხატავდა უარყოფით დამოკიდებულებას ჰომოსექსუალობის მიმართ, მათ შორის აცხადებდა, რომ ჰომოსექსუალობის განკურნებაზე მიმართულ თერაპიას უჭერდა მხარს. პენსი ეწინააღმდეგებოდა გეების ქორწინებას და აცხადებდა, რომ გეი წყვილები სოციალურ კრახზე მიმანიშნებელი მოვლენაა.

პენსი იყო და არის აბორტების კრიმინალიზაციის აქტიური მხარდამჭერი. კონგრესში ის მხარს უჭერდა კანონს, რომელიც დასჯიდა აბორტის შემსრულებელ ექიმებს. ის ემხრობა ადამიანის მუცლად მყოფი ნაყოფის კანონის დონეზე ადამიანად გამოცხადებას და მისი სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფას. ამერიკაში მიმდინარე იდეოლოგიური ბრძოლის კონტრასტი ამ საკითხშიც ჩანს.

...ამერიკისათვის ბრძოლაც გადამწყვეტ ფაზაში შედის! თუ ამ დაპირისპირებაში ჩართული აქტიორების გავლენებს და საერთაშო-

მერაბ ბერძენიშვილის პიროვნება და შემოქმედება მაგალითია მომავალი თაობებისთვის...



მსოფლიო მნიშვნელობის უდიდეს მოქანდაკეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრს, „ქართველ მიქელანჯელოს“ მერაბ ბერძენიშვილს 2020 წლის 10 ივნისს 91 წელი შეუსრულდებოდა.

ოთხოიდე წლის წინათ 87 წლისა გარდაიცვალა დიდი ხელოვან-მამულიშვილი და ბრწყინვალე პიროვნება.

მერაბ ბერძენიშვილი იყო საყოველთაოდ ცნობილი მოქანდაკე, ფერმწერი და გრაფიკოსი, საქართველოს სახალხო მხატვარი, საქართველოს“ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

მერაბ ბერძენიშვილის შედევრებმა დაიპყრეს არა ოდენ ქართული ხელოვნების ეროვნული სივრცე, არამედ გასცდნენ სამშობლოს ფარგლებს და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა შეიძინეს.

მონუმენტური, გრაფიკული თუ ფერწერული ნამუშევრებით მერაბ ბერძენიშვილმა ხელოვნების ისტორიაში საკუთარი ხელწერა შექმნა. მისი შექმნილია დავით აღმაშენებლის და დავით გურამიშვილის ქანდაკებები, ზაქარია ფალიაშვილის, დოდო აბაშიძის, სანდრო ახმეტელის, ტიციან ტაბიძის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველასა და ქეთევან წამებულის ძეგლები. მერაბ ბერძენიშვილს ეკუთვნის ყველასთვის ცნობილი „მუზა“ ფილარმონიის წინ. ბავშვთა პარკ „მზიურში“ შექმნა ნოდარ დუმბაძის მემორიალი, მწერლის პორტრეტი და პერსონაჟები რომანიდან „მე ბებია, ილიკო და ილარიონი“.

დიდგორის ბრძოლის ველზე განხორციელდა სკულპტურულ-არქიტექტურული კომპლექსი, მოსკოვში აღიმართა მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი შოთა რუსთაველის ძეგლი. კასპში — გიორგი სააკაძის ცხენოსანი ფიგურა, ასლი კი დაიდგა თბილისშიც. ბიჭვინთაში დაიდგა ქანდაკება „მედეა“, სოჭში — „ადამი და ევა“, მარნეულში აღიმართა კომპოზიცია „კიდევაც დაიზრდებიან“, გურჯაანში — მემორიალური კომპლექსი „ჯარისკაცის მამა“, ქუთაისში — ომში გამარჯვების მემორიალი. მიჩიგანის ქალაქ ტრავერსიტიში დაიდგა კომპოზიცია „საქართველო“, ავსტრიაში — ჰერმან კმაინერის ქანდაკება, ლაოსის მეფის სისავან ვონგის ძეგლი აღიმართა ვენტიანში, ხოლო ძეგლის ასლი — ქალაქ პრაბანგში.

> **მოქანდაკის მეგზური თავისუფლებაა. იგი შემოქმედს უკიდეგანო სივრცეს სთავაზობს, რომლის დასაპყრობად უზომო სიყვარული და თავდადებული შრომაა საჭირო, შრომა, რომელიც განამტკიცებს ნიჭიერებას და მას ჭეშმარიტებასთან აახლოებს.**
>
> **მ. ბერძენიშვილი**
>
> **ხელოვნება, რომელიც ცხოვრებაში ცარიელი, უსულგულო მხიარულებითა და ჟივილ-ხივილით შეიჭრება, ვერაფერს მნიშვნელოვანს ვერ დაუტოვებს კაცობრიობას“.**

მერაბ ბერძენიშვილის გამოფენები მოეწყო საქართველოსა და საფრანგეთში, რუსეთსა და ჩეხეთში, გერმანიასა და პოლონეთში, ბულგარეთში, ამერიკაში. ბატონი მერაბი სამი უმაღლესი სახელმწიფო პრემიის ლაურეატია, მიენიჭა ნობელის პრემიის ლაურეატის მედალი, დაჯილდოებულია რუსეთის სამხატვრო აკადემიის ღირსების დიპლომით და ვერცხლის მედლით, აშშ-ის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის ჯილდო „მეოცე საუკუნის მიღწევებისთვის“, გადაეცა საქართველოს მხატვართა კავშირის პრიზი „ოქროს ლომი“. იგი ასევე საქართველოს ეკლესიის წმინდა გიორგის ოქროს ორდენის მფლობელია. მერაბ ბერძენიშვილი თბილისის საპატიო მოქალაქე იყო.

...განსაკუთრებით დაუვიწყარია ბატონი მერაბის მოღვაწეობა ჩვენთვის, საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმისა და თანამშრომლებისთვის, იგი ხომ სიცოცხლის ბოლომდე, ოცი წლის განმავლობაში იყო ამ ფონდის თავმჯდომარე და სულისჩამდგმელი. კულტურის ფონდი ახორციელებდა როგორც საქველმოქმედო, ისე აღმშენებლობით საქმიანობას. მისი უშუალო თაოსნობით და ხელმძღვანელობით აშენდა კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა“, რათა ის გამხდარიყო საქართველოში კულტურული ღონისძიებების ჩატარების ფლაგმანი, მისი მეშვეობით აღსრულებულიყო ქართული კულტურის მდიდარი ტრადიციების უცხოელებისთვის გაცნობა და შეყვარება. ბატონი მერაბის დიდი ძალისხმევით 2016 წლის ვარდობისთვეში ჩატარდა მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქანდაკების არსი თანამედროვე სამყაროში“, სადაც მოწვეული იყვნენ 14 ქვეყნის მხატვრები და მოქანდაკეები. ისინი გაეცნენ ამ მიმართულებით საქართველოს მიღწევებს, განსაკუთრებით აღფრთოვანდნენ ბატონი მერაბის შემოქმედების სიდიადით და მრავალფეროვნებით. სწორედ მაშინ შეარქვეს უცხოელმა მეგობრებმა მერაბ ბერძენიშვილს ქართველი მიქელანჯელო, და ამ ჭეშმარიტი შეფასებით იცნობენ დღეს მას მთელ მსოფლიოში.

უმძიმესი ტვირთია, დიდი პასუხისმგებლობაა მის მიერვე დაფუძნებული და მრავალი წლის განმავლობაში ნაღოლიავები კულტურის ფონდის ხელმძღვანელობა დიდი ერისკაცის გარდაცვალების შემდეგ.

მერაბ ბერძენიშვილი იყო არა მარტო როგორც უდიდესი ხელოვანი, არამედ როგორც უაღრესად კეთილშობილი, სამშობლოს უსაზღვროდ ტრფიალი და მის მომავალზე ფიქრით დამაშვრალი ადამიანი. საქართველოს ყველა კუთხე მისთვის ძვირფასი და განუყოფელი იყო. მ. ბერძენიშვილის სახელი სამარადისოდ შევიდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა ჩვენს ღირსეულ მამულიშვილთა გვერდით.

რაც დრო გადის, მერაბ ბერძენიშვილის უკვდავი კულტურული მემკვიდრეობა კიდევ უფრო ფასდება...

საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე,
აკადემიკოსი თამაზ შილაკაძე

დავით აღმაშენებელი

კიდევაც დაიზრდებიან...

დიდების მემორიალი

მუზა

ევროპელი „ქართველი თეოლოგები“

საერთოდ, მედიისა და ცალკეულ საინფორმაციო საშუალებათა მესვეურების საყურადღებოდ უნდა ვთქვათ: რამდენადაც რელიგიური თემა საზოგადოებრივი ინტერესის ობიექტად იქცა, ხოლო სპეციალური ინფორმაციის სწორად გაშუქებას შესაბამისი პროფესიონალის კონსულტაცია სჭირდება, სარედაქციო სამსახურებმა უნდა დაუშვან რელიგიათმცოდნის შტატი, და უხერხული ტერმინების გამოყენებისა და აბსურდული ინტერპრეტაციებისგან თავი დაიზღვიონ. სამაგალითოდ ქვემოთ განხილული წერილიც გამოდგება.

სააგენტო „პრაიმტაიმმა“ თავის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა (10.04.2020) თეოლოგიის მაგისტრანტ-ბაკალავრების ხელმოწერილი წერილი მცირე ანოტაციითა და სათაურით: „გავლენა მოახდინეთ ეკლესიაზე – ქართველი თეოლოგები მსოფლიო პატრიარქს და სხვა მაღალ იერარქებს მიმართავენ“. ზემოთ ნახსენები ცენტრის წევრები თუ თავიანთ თავს „ქართველ ახალგაზრდა თეოლოგებს“ უწოდებენ, აქ თვით სააგენტომ „ქართველი თეოლოგები“ წარმოგვიდგინა.

გასაგებია, რომ მედიის მიერ არასწორად დამკვიდრებული ტერმინი თეოლოგისა, პერსონის ავტორიტეტულობის ასამაღლებლად მიმზიდველად ჟღერს, მაგრამ ასეთი სამეცნიერო ცენზი არ არსებობს. თეოლოგიის ბაკალავრი, მაგისტრანტი ან დოქტორი სრულიად საკმარისი წოდებაა იმისთვის, ვინც ამ საპატიო საქმეს არა პოპულისტური და კარიერისტული მიზნით, არამედ არჩეული პროფესიის სიყვარულით ემსახურება. გამონაკლის შემთხვევაში, დიდი დამსახურების მქონე საპატიო პიროვნება შეიძლება მოვიხსენიოთ თეოლოგის, ანუ ღმრთისმეტყველის სახელით, მაგრამ ამ წოდების გაუფასურება და დაკნინება, როგორც ამას ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში ვხედავთ, გაუმართლებელია. ბოლოს და ბოლოს, ამ დიდებული ზედწოდებით ეკლესია მხოლოდ სამ წმინდანს ამკობს: იოვანე მახარებელს, გრიგოლ ნაზიანზელსა და სვიმეონ ახალ ღმრთისმეტყველს!

ახლა გავერკვეთ, ვინ არიან აღნიშნული მიმართვის ავტორები და ეკლესიის ინტერესების დასაცავად და მისი ავტორიტეტის ასამაღლებლად როგორ „ილვწიან“. – ზ. ცაბაძე, გ. ტიგინაშვილი, შ. მათითაშვილი, კ. უსუფაშვილი და ლ. წითლიძე (ეს უკანასკნელი ზემოთ ნახსენები ცენტრის წევრიცაა), როგორც ეს მათივე განცხადებიდან ჩანს, საქართველოს ეკლესიის ავტორიტარული მმართველობისა და სინოდის მთელი შემადგენლობის კომფორმიზმის გამო შეწუხებულან და, რადგანაც საშველი ვერსად უპოვიათ, კორონავირუსისგან საქართველოს გადასარჩენად თოთხმეტი „უწმიდესი მამისთვის“ მიუმართავთ.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ევროპული ხუთეულიც, ცენტრის მსგავსად, თავის საქმიანობაში სრულიად დამოუკიდებელია. რაც მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი საქართველოს ეკლესიის წევრებად თავს არ მიიჩნევენ და მხოლოდ გარეშე ძალების ინტერესებს ემსახურებიან. განსხვავება ახალგაზრდების ცენტრსა და თეოლოგიურ ხუთეულს შორის მხოლოდ ისაა, რომ ცენტრი, გარდა ლ. წითლიძისა, ჯერჯერობით ღიად არ უპირისპირდება უმაღლეს იერარქსა და საერთოდ, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, თორემ პოლიტიკურად მოტივირებული, ანუ პროამერიკული პოზიცია ორივე გაერთიანებისთვის საერთოა.

იძულებული ვართ, ყალბი მგზნებარების საილუსტრაციოდ ორი ამონარიდი მაინც მოვიყვანოთ მიმართვის ტექსტიდან, თორემ ამ უპასუხისმგებლო „დანოსს“ ქაღალდზე ადგილს არ დავუთმობდით: **„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ჯიუტად დგას თავის უცვლელ პოზიციაზე, არ მოუწოდებს მრევლს დარჩეს სახლში და უარს აცხადებს ღვთისმსახურება მრევლის გარეშე ჩაატაროს. შედეგად, სამღვდელოების წარმომადგენლები მორწმუნეებს სასიკვდილო საფრთხისაკენ მიუძღვიან. ამ მძიმე ჟამს, სამღვდელო დასის რიგი წევრები წარმოთქვამენ ქადაგებებს, რომლებიც სავსეა სიძულვილით, ფანატიზმითა და ცრუ აპოკალიპტური მოლოდინებით... უწმინდესნო მამანო, საქართველოს ეკლესიის ოფიციალურ პირთა უმოქმედობისა და უპასუხისმგებლობის გამო, მოგმართავთ თხოვნით, გავლენა მოახდინოთ საქართველოს ეკლესიაზე, რათა ოფიციალურმა იერარქიამ მიიღოს ყველა აუცილებელი გონივრული ზომა, რათა საქართველოს ათასობით მოქალაქის ინფიცირება და სიკვდილი თავიდან ავიცილოთ“.**

აი, ძართველთა ხმა პადერგონის, ათენისა და ჟენევის საუნივერსიტეტო კათედრებიდან! აი, ხმა დედაეკლესიიდან განვრდომილი შვილებისა, რომელთაც ყოველივე წმიდა სოციალური ძსელების სასეირო გაიმეტეს!

მაინც ვისგან ელიან ხსნას მიმართვის ავტორები? – სტრატეგიის ცნობილი წესით, დახმარებისთვის მოკავშირეთა, ან თანამოაზრეთა ჯგუფს მიმართავენ, რადგან დაპირისპირებულთაგან ერთიანი ჯგუფი ვერ შეიქმნება და, ბუნებრივია, ისინი ვერც ერთმანეთთან და ვერც გარეშე სუბიექტთან ერთობლივ პარტნიორობას ვერ შეძლებენ. სახარებისეული სწავლებით: „უკუეთუ მეუფებაჲ მეუფებასა განევლთას, ვერ ჴელ-ეწიფების დამტკიცებად მეუფებაჲ იგი. და უკუეთუ სახლი სახლსა განევლთას, ვერ ჴელ-ეწიფების სახლი იგი დამტკიცებად“. (მრკ. 3,24-25).

ბერდიაკონი გიორგი (რუხაძე)

ვაქცინა რელიგიაში შეჭრილი ინფექციის წინააღმდეგ

მაშასადამე, მიმართვის თოთხმეტ ადრესატს შორის არსებული დაპირისპირების გამო ჩვენი თეოლოგების მოლოდინი დახმარების მიღებაზე ამაოა. არაფერს ვამბობთ მათი კომპეტენციის ფარგლებზე, რომელიც არა მარტო მეცნიერული, არამედ მორალური უფლებამოსილებითაც უნდა დგინდებოდეს. როცა მსოფლიო ეკლესიის უმაღლეს იერარქებს საქვეყნო საქმეზე მიმართავ, იმ ქვეყნის აღმშენებლობისთვის ერთი არამრუდე აგური მაინც ხომ უნდა გქონდეს დადებული?!

ახლა მოკლედ ჩამოვთვალოთ ადრესატთა უთანხმოებანი: ა) კონსტანტინოპოლისა და რუსეთის საპატრიარქოებს ერთმანეთთან ევქარისტიული კავშირი გაწყვეტილი აქვთ. განხეთქილების მიზეზი იყო რუსეთის ეკლესიის მიერ განკვეთილი სასულიერო პირებისთვის ფანარის მიერ ხარისხის აღდგენა და მათ ბაზაზე უკრაინის ფსევდო-ავტოკეფალიური ეკლესიის შექმნა. ბ) კრიზისიდან გამოსვლის მიზნით, იერუსალიმის პატრიარქის თეოფილე III-ის ინიციატივით ქ. ამანში გაიმართა შეხვედრა, რომელსაც დაესწრნენ მხოლოდ რუსეთის, სერბეთის, რუმინეთის, პოლონეთისა და ჩეხეთის ადგილობრივ ეკლესიათა წარმომადგენლები. გ) მიუხედავად იმისა, რომ სხვა ეკლესიებმა ამანის კრებაზე დასწრებისგან თავი შეიკავეს, უკრაინის საკითხზე ფანარის გადაწყვეტილებას მხარს მხოლოდ აფრიკისა და ელადის მმართველი იერარქები უჭერენ; ამ ეკლესიებშიც მღვდელმთავრებისა და სამღვდელოების გარკვეული ნაწილი უმაღლეს იერარქთა გადაწყვეტილებას მხარს არ უჭერს და მათ მიმართ პროტესტს გამოხატავს.

ასე რომ, ეკლესიათა საჭეთმპყობელებს შორის მე-14 ადრესატად „ეპიფანე კიეველის“ მოხსენიება თორმეტი ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის უგულებელყოფას ნიშნავს, რადგან, იქიდან გამომდინარე, რომ კონსტანტინოპოლის, ანუ ფანარის მიერ „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის“ მეთაურად დადგენილ არაკანონიერ ეპისკოპოს ეპიფანე დუმენკოს ყველა საეკლესიო ხარისხი განკვეთილი „საპატიო პატრიარქის“ ფილარეტ დენისენკოს მიერ აქვს მიღებული, მას ფანარის, ალექსანდრიისა და ათენის გარდა არავინ აღიარებს.

სხვათა შორის, ეს კრიტიკა ვრცელდება „ახალგაზრდა თეოლოგების“ მიმართაც, რომლებიც ეპიფანე კიეველისა და ბართლომე კონსტანტინოპოლელის მიმართ აშკარა თაყვანისცემას გამოხატავენ. ნეტავ, ერთი სერიოზული სტატია მაინც შემხვედროდა ამ ევროპულად განსწავლულებისა, რომელიც ადამიანს პრობლემაზე დაფიქრებისა და მეცნიერული კამათის სურვილს აღუძრავდა! თუმცა, ესენი ხომ ეპიფანეს საქართველოს ხსნას ავედრებენ და გონივრული მუშაკობისთვის სად სცალიათ!

ამრიგად, დასკვნის გამოსატანად დიდი შრომა აღარ გვჭირდება. ნათელია, რომ მიმართვის ავტორები რეალური მხარდაჭერის მიღებაზე ვერც იოცნებებდნენ; მათ ერთადერთ მიზანს საქართველოს წმიდა ეკლესიის დაკნინება და განქიქება წარმოადგენდა.

წესი ლიტურგიის დამაბრკოლებელი ერთი შემთხვევისთვის

ადრე გამოცემულ სამღვდელო კონდაკებს დართული აქვს სხვადასხვა წესი, რომელიც მოულოდნელად შექმნილ სიტუაციაში უნდა შესრულდეს. ჩვენ განვიხილავთ ერთ-ერთ შემთხვევას, რომელიც ევქარისტიულ ძღვენთან არის დაკავშირებული და რომელზეც არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციები გავრცელდა. დავიმოწმოთ ციტატა:

„უკეთუ **უწინარეს განწმედისა** წმიდასა სასმისსა შინა ბუზი შთავარდეს, (მწირველმა მღვდელმა) აღმოიღოს და ქაღალდსა შინა შეხვეული დასწვას ცეცხლითა. ხოლო თუ დედაზარდლი, გინა სხვაჲ რომელიმე გესლიანი ქუემძრომელი შთავარდნილ იქმნას, აღმოიღონ და შეხვეული ქაღალდსა შინა დასწვან, ხოლო სასმელი იგი ბარძიმისა მისგან გარდაასხან სხვასა ჭურჭელსა შინა, და მოიღოს ღვინო წყალისა თანა და სთქვას: „ერთმან მჴედართა-განმან“, და შთაასხას, და ეგრეთ შეასრულოს წირვა იგი, და გარდასხმული იგი მდინარესა შთაასხას.

ხოლო თუ **შემდგომად განწმედისა** იქმნას ესე და მისაღებად საძაგელ იყოს მღვდლისა, აღიღოს ფრიად სიფრთხილით, რომელ წვეთი სისხლისაგან არა სადა დაითხიოს, და ჭურჭელსა ზედა პატიოსანსა სამ-გზის განრცხას ღვინითა და შემდგომად შესრულებისა წირვისა აღმოღებული იგი წახვეული ბანბით, ანუ ტილოთურთ ქვასა ზედა წმიდასა დასწვან, ხოლო რომლითაცა განრცხა, ღვინო იგი ანუ მდინარესა, ან ქვეშე წმიდისა ტრაპეზისა შთაასხას და დაბუროს“ (კონდაკი, თბ., 1899. გვ. 339-340).

ე.ი. ევქარისტიის შესრულებამდე, ანუ პურისა და ღვინის კურთხევამდე, თუ ბარძიმში ბუზი ჩავარდა, მწერი ამოიღონ, ხოლო ბარძიმს, რომელშიც ევქარისტიამდე მხოლოდ ღვინო და წყალია, არ შეეხონ. ხოლო თუ მასში ობობა ან სხვა შხამიანი მხოხავი ჩავარდა, მაშინ არა მარტო უწმინდური უნდა დაიწვას, არამედ ღვინოცა და წყალიც უნდა შეიცვალოს.

ევქარისტიის შემდეგ კი, იმავე შემთხვევისთვის წეს-განგება განსაკუთრებულ კრძალვას მოითხოვს. მღვდელმა ეს შხამიანი ცხოველი დიდი სიფრთხილით უნდა ამოიღოს და პატიოსან ჭურჭელზე ღვინით კარგად გარეცხოს, შემდეგ ნაჭერში შეახვიოს და სუფთა ქვაზე დაწვას, ხოლო ნარეცხი ღვინო მდინარეში ჩაღვაროს. თვით წმიდა ზიარება კი, რა თქმა უნდა, ამ დროს ხელშეუხებელი რჩება – მოსატევებელად ცოდვათა და ცხოვრებად საუკუნოდ, ამინ.

წმიდა ეკლესია ამ განჩინებით ეჭვგარეშე გვიცხადებს, რომ უფალი იესო ქრისტეს ხორცსა და სისხლს ვერავითარი შხამი ვერ შეეხება, პირიქით, იგი ყველა იმ სნეულსა და დავრდომილს კურნავს, „რომელი დამკჳდრებულ არს შეწევნითა მაღლისაჲთა“; იგი მხოლოდ თავის მორწმუნეს აღუთქვამს: „რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ“ (ინ. 6, 54). ზიარება სარწმუნოების საქმეა. როცა კაპერნაუმის სინაგოგაში მაცხოვარი ზეციური პურის, ანუ თავისი ხორცისა და სისხლის თაობაზე ებრაელებს ასწავლიდა, ზოგიერთისთვის მისი სიტყვები მოსასმენად იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ „ამის გამო მრავალნი მოწაფეთა მისთა-განნი უკუნიქცეს და არღარა ვიდოდეს მის თანა“ (ინ. 6, 66).

მარწუხის მტრებს უკვირთ, მორწმუნეებს ინფიცირებისა რატომ არ ეშინიათ. ვინც თავის ერთგულთ იმგვარი მფარველობა აღუთქვა, რომ „დაღათუ სასიკუდინე რაჲმე სუან, არარაჲ ავნოს მათ“ (მრკ. 16, 18), განა იგი დაუშვებს იმას, რომ უსისხლო მსხვერპლად შეწირული თვითონ იქცეს ვირუსის გადატანის საშუალებად და კურნების ნაცვლად ქრისტიანთა დასნებოვნება გამოიწვიოს?! იქნებ მეტი არგუმენტი არც დასჭირდეს მას, ვისაც დაფიქრება კიდევ შეუძლია: ყველა დროს, ეპიდემია იქნებოდა თუ პანდემია, მღვდელმსახურები ჯერ მრევლს აზიარებდნენ და მერე თვით იმავე ბარძიმიდან სიწმიდეს სრულად იღებდნენ. მარწუხითა და ბარძიმით რომ გადადიოდეს სნეულებანი, განა ღმრთისმსახური ეკლესიაში საერთოდ იარსებებდა?!

განსაცდელის რაობა

ქრისტიანებმა იციან, რომ შემთხვევით არაფერი ხდება. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ წლევანდელი სააღდგომო ეპისტოლეთი მოკლე, მაგრამ აუცილებელი განმარტება მისცა მრევლს: „ახალი ვირუსის პრობლემამ პლანეტის მოსახლეობის უდიდეს ნაწილში დიდი შიში დანერგა და მათი მზერა ღვთისკენ მიმართა. ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს განსაცდელის, ქრისტიანი პრობლემებს მადლიერებით იღებს და ყველაფერში ღვთის ხელს ხედავს, მასზე სასოებს, მისით ხარობს და,

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 70

ამასთან, ცდილობს, გამოძებნოს სწორი გამოსავალი არსებულ ვითარებაში“.

განსაცდელთა და ჭირთა მნიშვნელობის შესახებ წმიდა მამათა სწავლანი ჩვენ ადრეც გამოვაქვეყნეთ*, მაგრამ, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ძირითად დებულებათა შეხსენება, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება.

ფიზიკური სნეულებების, მათ შორის კორონავირუსის, მატერიალური გასაჭირის თუ ახლობელთა სიკვდილის მოწევნას ადამიანებზე ბრძენი და სახიერი უფალი იმიტომ უშვებს, რომ ამ განსაცდელებმა მათზე კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინონ. შეიძლება ჩვენ გვგონია, რომ ისინი ბოროტი თვისებისანი არიან, მაგრამ სინამდვილეში უფლის მზრუნველობის შედეგს წარმოადგენენ.

ვინც ბოროტების მიზეზად ღმერთს მიიჩნევს, ისეთივე უგუნურია, როგორც ღმრთის არსებობის უარმყოფელი. რაიმე განსაცდელის დროს თითქოს უმისამართოდ გამოთქმული ყვედრებაც: „რა დავაშავეთ ასეთი“, „ეს ჩვენ არ უნდა დაგვმართოდა“ და მისთ., სინამდვილეში, ირიბად ღმრთის მიმართ საყვედურს შეიცავს. ამ დროს, განსაცდელში მყოფი პირდაპირ არ გმობს ღმერთს, მაგრად მცირედმორწმუნეობის ან დაუკვირვებლობის გამო ვერც იმას ითვალისწინებს, რომ კეთილი ღმერთის მიერ ვართ დაბადებული და ჩვენს ცხოვრებას იგი განაგებს.

ღმრთის ნების გარეშე ჩვენზე არაფერი მოიწევა, გარდა ცოდვისა, რომლის მიზეზი ჩვენ თვითონ ვართ. თვით სიკვდილიც კი არ არის ბოროტება, გარდა მოუნანიებელი ცოდვილი კაცის აღსასრულისა, რადგან მისთვის ამ ქვეყნიდან წასვლა ჯოჯოხეთის სატანჯველთა დასაწყისს ნიშნავს.

ღმრთის განგებულების ნათელსაყოფად რამდენიმე კერძო შემთხვევა განვიხილოთ. ღმერთი სიმდიდრეს იმას ართმევს, ვინც მას ბოროტად მოიხმარს, რათა მისი უსამართლობის იარაღი განაქარვოს. ხოლო სნეულებას მასზე მოაწევს, ვისთვისაც ასე სჯობია, რათა სხეულის ასონი შეკრული ჰქონდეს და ცოდვის ჩადენა ვერ შეძლოს. ასევე, სიკვდილი მასზე მოიწევა, ვისი ცხოვრებაც იმ ზღვარს მიაღწევს, რომელიც ღმრთის უზენაესი სამართლით პირველითგანვე არის დადებული; ღმერთი კი ადრიდანვე ხედავს, თუ რა არის თითოეულისთვის უმჯობესი. ხოლო ომები, გვალვები, წყალდიდობები, ეპიდემიები და სხვა მსგავსი განსაცდელები ხალხებს მათი უზომო უკეთურობის გამო შეემთხვევათ. როგორც ქველმოქმედმა ექიმმა რომელიმე სნეულების განსაკურნავად, შეიძლება ადამიანს მძიმე ტკივილი მიაყენოს (მაგალითად, ქირურგიული ჩარევის დროს), ასევეა სახიერი უფალიც — მარადიული ცხოვრების მოსაპოვებლად ადამიანებს ასეთი სახის სატანჯველებს უგზავნის, რათა მათი უკეთურობანი დააცხროს.

ამრიგად, ღმერთი კი არ არის მიზეზი ბოროტებისა, არამედ – კაცი, რომელიც თავისუფალ ნებას ცოდვისაკენ მიდრეკს და სიკეთის მოკლებით წარმოშობს ბოროტებას. ახლანდელი ეპიდემიის გავრცელების მიზეზიც ჩვენსავე თავში უნდა აღმოვაჩინოთ და მის დასამარცხებლად არა ახალი ვაქცინის გამოგონებას დაველოდოთ, არამედ გულწრფელად განვიხილოთ ჩვენი ცოდვები და ჭეშმარიტ მხსნელს შევღაღადოთ: უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შეგვიწყალენ ჩვენ ცოდვილნი!

** საღმრთისმეტყველო ლექსიკონი-ცნობარი, თბ., 2013. კარი სარწმუნოებისა, თბ., 2018.*

◎ „თამაშის დასასრული“

სტურუას თეატრი კვლავ ცოცხალია!

შოთა რუსთაველის სახ. თეატრის დირექტორს გია თევზაძეს

ჩემო გია, გამრჯე და კეთილო კაცო,

რუსთაველის თეატრში ს. ბეკეტის „თამაშის დასასრულის“ პრემიერის შემდეგ დღეებში მკითხე, სპექტაკლზე რას მეტყვი, როგორი შთაბეჭდილება დატოვაო. კარგად იცი, რობიკოს რაოდენი პატივისმცემელი ვარ, არაერთხელ უთქვამთ, დაუწერიათ მის დიდებულ დანიშნულებაზე ქართული თეატრის ისტორიაში — მათს შორის, მეც. ტყუილი არ გკადრე, მით უმეტეს, არ ვკადრე რობიკოს და გითხარი აღფრთოვანებული არ დავრჩი-მეთქი, უფრო მეტიც...

წუხელ „იმედის“ მიერ გადმოცემულ „თამაშის დასასრულს“ რომ ვუყურე, ჩვენი ის დიალოგი გამახსენდა და გამიჩნდა სურვილი, შეგეხმიანო — უკან წავიღო ჩემი სიტყვები. არსებობდა ასეთი პიროვნება — ვენის დრამატული თეატრის დრამატურგი თეოდორ ჰერცლი — ებრაელობის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების — სიონისტური მოძღვრების ავტორი, რომელმაც კოლოსალური როლი ითამაშა ებრაელი ერის ისტორიაში. ძალიან მომწონს მისი თეზა: „მხოლოდ მიცვალებულები და იდიოტები არ იცვლიან აზრს. “ დიახ, წუხელ ვუყურე სპექტაკლს და აზრი შემეცვალა. ამის მიზეზი კი თავად რ. სტურუაა, რომელიც პრემიერის შემდეგაც არ წყვეტს სპექტაკლზე მუშაობას და ამას რა შედეგიც მოაქვს, თუნდაც მისი „ჰამლეტის“ მაგალითზე გვახსოვს.

და კიდევ ერთი: მთელი სიცოცხლე თეატრით ვსულდგმულობ. მყავდნენ და მყვანან ჩემი თეატრალური კერპები: რამაზ ჩხიკვაძე, რობიკო სტურუა, თემურ ჩხეიძე. ნახევარ საუკუნეზე მეტია, მესმოდა: რ. სტურუას რეჟისურა მსახიობებს შემოქმედებითად ვერ ზრდის, სტურუა სხვა რეჟისორთა მიერ აღზრდილ-გამოწვრთნილ მსახიობებს იყენებსო. „თამაშის დასასრულმა“ ეს მოსაზრება კიდევ ერთხელ დაასამარა: დათო უფლისაშვილზე ვინ იტყვის, რომ სხვა რეჟისორის მსახიობია, გინდაც ლევან ბერიკაშვილზე, ჩვენს ძვირფას ნანი ფაჩუაშვილზე ხომ ვერა და ვერ იტყვი ამას! წუხელის დიდებულნი იყვნენ. შედარებით ახალი თაობის გოგა ბარბაქაძე ესოდენ სრულყოფილი რომელი რეჟისორის სპექტაკლში გვინახავს?

საოცარია: სპექტაკლის ჩვენების წინა დღეებში „იმედი“ ატრიალებდა სარეკლამო რგოლს: თეატრის კულისებში, სცენაზე, თუ დარბაზში, დააბიჯებდა დაღლილი ბერიკაცი (სულ რაღაც თვენახევარში მას 82 წელი შეუსრულდება) და გვიამბობდა, თუ რაზეა სპექტაკლი. დრო ყველაფერს ერევაო და ბერიკაცი თანაგრძნობას აღძრავდა, წუხელ კი ვნახეთ ამ ბერიკაცის ახალგაზრდული, ძლიერი შემოქმედებითი ფანტაზიით და მუხტით განხორციელებული სპექტაკლი და გამახსენდა სიჭაბუკის დროინდელი რობიკო — სახლიდან თეატრამდე და უკან დაბრუნებისასაც ფეხით რომ დადიოდა და ხშირად რომ ვხვდებოდით ერთმანეთს. გონება, აზროვნების თანმიმდევრობა კვლავაც ისეთივეა.

ამ ორიოდე თვის წინათ რეჟისორი დიმიტრი კრიმოვი — დიდი ანატოლი ეფროსის შვილი, მოსთქვამდა: თეატრის სიცოცხლე ჩემს თვალწინ მთავრდება, თეატრი სულს ღაფავსო, წუხელის კი ვირწმუნეთ: რობერტ სტურუას თეატრი კვლავ ცოცხალია!

ასე რომ, ჩემო გია, კიდევ ერთხელ გეუბნები: სპექტაკლზე აზრი შემეცვალა — ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს.

გურამ ბათიაშვილი

ლიტერატურული ჟურნალი „ოლე“

ერთიდროულად დაისტამბა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ მარტისა და ივნისის ნომრები.

„ოლე“ №1

გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ 2020 წლის I ნომერი.

ჟურნალი იხსნება **გურამ დოჩანაშვილთან** თელავში გამართული შეხვედრის მიმოხილვით. აქვე იბეჭდება **ნუნუ ძამუკაშვილის** დიდი მწერლისადმი მიძღვნილი ლექსი.

ჟურნალ „ოლეს“ 15 წლის იუბილეს ეძღვნება **როინ ჭიკაძის, ნანა რჩეულიშვილისა** და **მანანა გოგიშვილის** წერილები.

„მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკით იბეჭდება: **ფარნა რაინას** კატრენები; სრულდება **როლანდ გიორგაძის** რომანი „დისო, დისო...“ გამოქვეყნებულია **ლანა მანველის** მოთხრობა „ღვთისმშობლის აღმართი“; **ნუნუ ძამუკაშვილისა** და **თინათინ თელაველის** ლექსები.

„დოკუმენტური პროზის“ რუბრიკით ქვეყნდება **არსენ ბერთლანის** ჩანახატები.

„ოლეს“ ამ ნომერში წაიკითხავთ ინტერვიუს **ნუნუ გელაძესთან**.

„წერილები“ რუბრიკით წარმოდგენილია **ნელი ზუროშვილის** წერილი „ნახატებში ამეტყველებული მშვენიერება“, რომელიც ეძღვნება ტრაგიკულად დაღუპულ ნიჭიერ ჭაბუკს **ნიკუშა ვახვახიშვილს**.

რუბრიკით „წიგნები“ **ნუნუ ძამუკაშვილი** მიმოიხილავს **ეთერ ხომიზურაშვილის** წიგნს „წინაპრები“.

ჟურნალში გამოქვეყნებულია **სოფიო ჭელიძის** ილუსტრაციები.

ჟურნალ „ოლეს“ ეს ნომერი გაფორმებულია მხატვარ **ლევან როსტომაშვილის** ნახატებით.

„ოლე“ №2

ჟურნალ „ოლეს“ II ნომერი იხსნება **რეზო ადამიას** ესსეთი — „შეხვედრა დიდ მწერალთან“. რუბრიკაში „ალექსანდრე გვენცაძე — 15“ გამოქვეყნებულია **თინათინ თუშაბრამიშვილის** წერილი „ადრესანტების თვალით დანახული ალექსანდრე გვენცაძე“.

რუბრიკით „ოლე — 15“ იბეჭდება **ფარნა რაინას** მისასალმებელი სიტყვა.

რუბრიკაში „ღვაწლმოსილი თელაველები“ გაეცნობით **დარეჯან ჭანკოტაძის** ცნობილი თელაველებისადმი მიძღვნილ ლექსებს.

„მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკაში ქვეყნდება: **ვანო ჩხიკვაძისა** და **მარიამ ძამუკაშვილის** მოთხრობები; **თამარ მაისურაძის, ვაჟა ოთარაშვილის, ეკა კვანტალიანის, გიული ჩიხიაშვილის, კახაბერ პავლიაშვილის, ჯანეტა სამხარაძისა** და **ანა მანოშვილის** ლექსები; ასევე **ნუნუ ძამუკაშვილის** საბავშვო ლექსები.

„თარგმანების“ რუბრიკაში წაიკითხავთ **ალექსანდრ ილიჩევსკის** მოთხრობას „ნამის წერტილი“. ჟურნალში ქვეყნდება **სოფიო გვრიტიშვილის, ციური ბერიძისა** და **ლია ფეიქრიშვილის** წერილები.

ჟურნალში ნახავთ **სოფიო ჭელიძის** ილუსტრაციებს.

„ოლეს“ ეს ნომერი გაფორმებულია მხატვრების **ვანო გოცირიძისა** და **ბექა ხუცურაულის** ნახატებით.

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი **შოთა ნარეკლიშვილი**) და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე **არჩილ თხლაშიძე**) მხარდაჭერით.

მუზეუმს სრულად აღადგენენ!

2020 წელს აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის სრული რესტავრაცია-რეაბილიტაცია დაიწყება, — ინფორმაციას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ავრცელებს.

„ფრანკოფონი დედაქალაქებისა და მეტროპოლიების მერებისა და ხელმძღვანელთა საერთაშორისო ასოციაციას“ მიერ გამოყოფილი გრანტის (200 000 ევრო) ფარგლებში, სრულად განახლდება და გამაგრდება მუზეუმის შენობა, საძირკველში ჩადგება გრუნტის წყლების სადრენაჟო სისტემები, რეაბილიტირდება შენობის ექსტერიერი და ინტერიერი, მოეწყობა გათბობისა და ვენტილაციის სისტემები.

აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის საქმიანობისთვის დამატებით გამოიყოფა 50 000 ევრო, რომელიც მუზეოგრაფიის გათანამედროვებას და მუზეუმის მიერ საგანმანათლებლო და სახელოვნებო პროგრამების განვითარებას მოხმარდება. შედეგად, მუზეუმს საშუალება ექნება, ჩაერთოს ქვეყნისა და კავკასიის რეგიონის ტურისტული განვითარების გეგმაში, გააღრმაოს თანამშრომლობა მსოფლიოს აბრეშუმის მუზეუმების საერთაშორისო ქსელთან და გაუზიაროს გამოცდილება რეგიონის ფრანკოფონულ ქალაქებს.

ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის ძეგლის რესტავრაცია-რეაბილიტაცია 3 წელი გაგრძელდება და მას თბილისის განვითარების ფონდი წესების სრული დაცვით განახორციელებს.

NATO 2030 – მეტი სამხედრო სიძლიერე და მტკიცე პოლიტიკური ერთობა

იმ დროს, როდესაც მსოფლიო კორონავირუსით გამოწვეული გლობალური რეცესიის საფრთხის წინაშე იმყოფება, 8 ივნისს ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა სტარტი მისცა ალიანსის პროექტ №NATO 2030 -ს, რომელიც ალიანსის წევრი ქვეყნებისა და პარტნიორების ფართო ჩართულობით მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის კიდევ უფრო გაძლიერებას ისახავს მიზნად.

ალიანსი დღეს უნდა იყოს მზად ხვალინდელი საფრთხეების გასამკლავებლად, რათა მომავალ ათწლეულში და მის შემდგომაც მტკიცედ უზრუნველყოს ჩრდილოატლანტიკური სივრცის უსაფრთხოება, – განაცხადა იენს სტოლტენბერგმა 8 ივნისს აშშ-ის გერმანიის მარშალის ფონდის, ატლანტიკური საბჭოსა და ნატოს საჯარო დიპლომატიის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ ტრანსატლანტიკურ ვიდეოკონფერენციაზე.

ნატოს გენერალური მდივნის მონაწილეობით გამართულ ვიდეოკონფერენციას ევროპული უსაფრთხოებისათვის არცთუ ისე სასიმოვნო საინფორმაციო ფონი ახლდა.

ნატოს მრავალი წევრი ქვეყნის შეშფოთება მოჰყვა წინა დღით წამყვან ამერიკულ და გერმანულ გაზეთებში – The Wall Street Journal-სა და Der Spiegel-ში - გამოქვეყნებულ ინფორმაციას, თითქოს პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ჯარების მასშტაბურ გამოყვანას აპირებდეს გერმანიის რამშტაინში მდებარე საავიაციო ბაზიდან, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი აკისრია ავღანეთსა და ერაყში კოალიციის საავიაციო ოპერაციების მხარდაჭერისათვის. აქვე მდებარეობს ევროპაში აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბიც.

The Wall Street Journal-ის თანახმად, აშშ გერმანიიდან გამოიყვანს 9 500-მდე სამხედროს, Der Spiegel-ი კი იუწყება, რომ წლის ბოლომდე გერმანიას 5 000-დან 15 000-მდე ამერიკელი ჯარისკაცი დატოვებს. ამჟამად გერმანიაში აშშ-ის 34,000-მდე სამხედროა დისლოცირებული. ცხადია, 8 ივნისის ვიდეოკონფერენციაში მონაწილე ექსპერტებისათვის მნიშვნელოვანი იყო იმის გაგება, თუ რას ფიქრობს ნატოს გენერალური მდივანი ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განლაგებული ნატოს უძლიერესი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ევროპული ფორპოსტის შემცირების შესახებ.

იენს სტოლტენბერგმა უარი თქვა პირდაპირ კომენტარზე **„გაჟონილ ინფორმაციასა თუ მედიის სპეკულაციებზე“ და, სამაგიეროდ, მაღალი შეფასება მისცა აშშ-ის ერთგულებას ევროპის მიმართ ნაკისრი ვალდებულებებისადმი. „ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ, სინამდვილეში, კვლავ ვხედავთ აშშ-ის სამხედრო ყოფნის გაძლიერებას ევროპაში. და ეს შეეხება არამხოლოდ გერმანიას. ჩვენ მხილველი ვართ ახალი ამერიკული სამხედრო ბრიგადების განლაგებისა ევროპაში, ჩვენ მხილველი ვართ როტაციის პრინციპით უფრო ფართო სამხედრო ყოფნისა და ჩვენ მხილველი ვართ იმისა, რომ აშშ-მა წამყვანი როლი იკისრა პოლონეთში ნატოს საბრძოლო დანაყოფის ფუნქციონირებაშიო“,** – განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

ნატოს გენერალური მდივანი შეეხო ალიანსის მთავარ გამოწვევებს და უმთავრესად გამოყო რუსეთის **„შეუნელებელი სამხედრო აქტიურობა“,** ბოლო ხანს გამოცოცხლებული ექსტრემისტული დაჯგუფება **„ისლამური სახელმწიფო“** და დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კამპანია, რომელსაც სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სუბიექტი აწარმოებს დემოკრატიული სამხედრო ალიანსის წინააღმდეგ.

განსაკუთრებით, თუ შევხედავთ ურთიერთობას უსაფრთხოებისა და თავდაცვის კუთხით, ან თუ ავიღებთ ნატოს – ვხედავთ, რომ აშშ-ის მხარდაჭერა ევროპის უსაფრთხოების მიმართ კვლავაც ძალიან ძლიერია. ნატო ერთიანია...

ამ კონტექსტში, იენს სტოლტენბერგმა ყურადღება გაამახვილა ჩინეთის აღზევებაზე, ჩინეთისა, რომელიც **„გამალებით ესწრაფვის ეკონომიკური და ტექნოლოგიური უპირატესობის მოპოვებას, რითაც ძირფესვიანად ცვლის გლობალურ ძალთა ბალანსს, მრავალი საფრთხის წინაშე აყენებს ღია საზოგადოებებს, ემუქრება ინდივიდუალურ თავისუფლებას, კონკურენციას უწევს ჩვენს ფასეულობებს და ცხოვრების წესს“,** – განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

ნატოს სიტყვა და საქმე

დონალდ ტრამპი დიდი ხანია, ჩივის, რომ გერმანია არ ასრულებს ნატოს მიმართ ნაკისრ ვალდებულებას – სამხედრო სფეროზე მშპ-ის 2 პროცენტის გაღებას. ცნობილია ტრამპის გამონათქვამი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსზე: ნატო მოძველებული არისო. მაგრამ უთანხმოებისა და განსხვავებული მოსაზრებების არსებობა დემოკრატიული ქვეყნების გაერთიანებასა და ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში ძალიან ნორმალურად მიაჩნიათ დამოუკიდებელ ექსპერტებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ გაცილებით მეტია ის, რაზეც ტრანსატლანტიკური პარტნიორები თანხმდებიან, ვიდრე ის, რაზეც – ვერა.

„განსაკუთრებით, თუ შევხედავთ ურთიერთობას უსაფრთხოებისა და თავდაცვის კუთხით, ან თუ ავიღებთ ნატოს – ვხედავთ, რომ აშშ-ის მხარდაჭერა ევროპის უსაფრთხოების მიმართ კვლავაც ძალიან ძლიერია. ნატო ერთიანია. ვხედავთ, რომ მოკავშირეები თანხმდებიან მრავალ საკითხში და, თუ ადგილზე დავაკვირდებით ვითარებას, აშკარად დავინახავთ, რომ დონალდ ტრამპის პრეზიდენტობისას აშშ კვლავაც ასრულებს ან, შესაძლოა, უფრო აქტიურადაც კი ასრულებდეს ევროპული უსაფრთხოების მხრივ ნაკისრ ვალდებულებას“, – უთხრა „რადიო თავისუფლებას“ კვლევით ცენტრ „გერმანიის მარშალის ფონდის“ ანალიტიკოსმა ბრუნო ლეტემ.

მეტი სამხედრო სიძლიერისა და მტკიცე პოლიტიკური ერთობის ყველაზე საუკეთესო დადასტურებაა აშშ-ისა და ნატოს ორი მნიშვნელოვანი სამხედრო სწავლება, რომლებსაც ამ დღეებში პოლონეთი და ბალტიის სახელმწიფოები მასპინძლობენ.

საუბარია „ევროპის დამცველ 2020“-ზე (DEFENDER-Europe 20“) მიბმულ ორმხრივ, აშშ-პოლონეთის, ორკვირიან სამხედრო-საავიაციო წვრთნაზე, „Allied Spirit“-ისა და BALTOPS-ის სახელით ცნობილ ნატოს მრავალეროვნულ სამხედრო-საზღვაო სწავლებაზე. პირველი 5-19 ივნისის ჩათვლით ტარდება პოლონეთში, დრავსკო-პომორსკეს რეგიონში.

ძალთა დემონსტრირება ბალტიის ზღვაზე

მიუხედავად იმისა, რომ კორონოვირუსმა კორექტივი შეიტანა სწავლების თავდაპირველ გეგმაში, რაც ერთი ელემენტის საქართველოში ჩატარებასაც გულისხმობდა, აშშ-ის სამხედრო სარდლობის ცნობით, ორკვირიან მანევრებში **მონაწილეობას იღებს 6 000 ამერიკელი და პოლონელი ჯარისკაცი.**

რაოდენობითა და სწავლის დიაპაზონით უფრო შთამბეჭდავია ბალტიის ზღვაში მიმდინარე ნატოს წვრთნები BALTOPS-2020, რომელიც 7 ივნისს დაიწყო და რომელშიც ნატოს 19 წევრი ქვეყნის –კანადის, დანიის, ესტონეთის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, საბერძნეთის, იტალიის, ლატვიის, ლიეტუვის, ნიდერლანდის, ნორვეგიის, პოლონეთის, პორტუგალიის, ესპანეთის, შვედეთის, თურქეთის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის 30-30 საზღვაო ხომალდი და თვითმფრინავი მონაწილეობს.

ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ კორონავირუსი გადაიქცეს საფრთხედ ალიანსისათვის, – ანაცხადა აპრილში ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა, და გამოთქვა გაფრთხილება, რომ ისეთი მოწინააღმდეგეები, როგორიც რუსეთი და ტერორისტული დაჯგუფებები არიან, შეეცდებიან ისარგებლონ შექმნილი ვითარებით და წამოიწყონ მტრული საქმიანობა.

სტოლტენბერგის ეს განცხადება წინ უძღოდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის შეთავაზებას, რომ პანდემიის დროს შემწყდარიყო სამხედრო მოქმედებები. ამის პასუხად ნატოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ წვრთნები თავდაცვითი ხასიათისაა.

ნატოს მრავალეროვნული საზღვაო-საჰაერო სწავლება BALTOPS-2020 მოიცავს საჰაერო თავდაცვას, ბრძოლის წარმოებას წყალქვეშა გემების წინააღმდეგ, ხომალდების შეპყრობისა და წყალქვეშა ნაღმების გაუვნებელყოფის ოპერაციებს. ნიშანდობლივია, რომ ბალტიის ზღვაზე დაწყებული ნატოს ათდღიანი მანევრების პარალელურად, 8 ივნისს რუსეთმა თავის ბალტიის ფლოტში დაიწყო წვრთნა, რომელიც მიზნად ისახავს „პირობითი მოწინააღმდეგის“ მიერ კალინინგრადის ოლქში განლაგებულ რუსეთის სამხედრო ობიექტებზე განხორციელებული სარაკეტო და საავიაციო იერიშების მოგერიებას.

კობა ლიკლიკაძე

როგორც რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობაშია ნათქვამი, წვრთნაში ჩაბმულია საზენიტო-სარაკეტო სისტემა C-400 და საზენიტო-საარტილერიო კომპლექსი „Панцирь-С-1-ს ასევე რუსეთის საზღვაო ფლოტისა და საზღვაო ავიაციის დივიზიონები.

...ჩვენი პოლიცია არ დაშლება!

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ პოლიციისათვის დაფინანსების შეწყვეტა ან პოლიციის დეპარტამენტების დაშლა არ მოხდება. ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა თეთრ სახლში სამართალდამცველებთან შეხვედრის დროს განაცხადა.

აშშ-ის პრეზიდენტმა სამართალდამცველები გაწეული სამსახურისთვის შეაქო და ხაზგასმით აღნიშნა მიმდინარე წელს დანაშაულის დაბალი მაჩვენებლები.

„დაფინანსების შეწყვეტა არ მოხდება. ჩვენი პოლიციის დაშლა არ მოხდება. ჩვენი პოლიციის წყალობით

მშვიდად ვცხოვრობთ. ზოგჯერ საშინელ ამბებს ვიხილავთ, როგორც ახლახან ვიხილეთ, თუმცა პოლიციელების 99% დიდებული ხალხია და დიდებულ სამუშაოს ასრულებენ“, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

ქორწილის გამო თანამდებობები დაკარგეს

სომხეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი არტაკ დავთიანი, რომლის შვილის ქორწილსაც კარანტინის დროს 100-ზე მეტი ადამიანი დაესწრო, თანამდებობიდან გადადგა. შესაბამის განკარგულებას სომხეთის პრეზიდენტმა ხელი უკვე მოაწერა. მის ნაცვლად, გენშტაბის უფროსად გენერალ-ლეიტენანტი ონიკ გასპარიანი დაინიშნა.

ქორწილი 7 ივნისს გაიმართა. ადგილობრივი მედიის ცნობით, დავთიანის შვილმა ჯვარი ჯერ წმინდა გაიანეს ტაძარში დაიწერა, შემდეგ კი ერთ-ერთ აგარაკზე წვეულება გამართა. ქორწილს 100-ზე მეტი სტუმარი ესწრებოდა, მათ შორის თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებიც. სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა სხვა ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებიც შეცვალა. კერძოდ, ეროვნული უშიშროების საბჭოს დირექტორად პოლკოვნიკი არგიშტი კიარამიანი დაინიშნა, პოლიციის უფროსად კი – ვაგე კაზარიანი.

სომხეთში კორონავირუსის გავრცელების გამო მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარებაა შექმნილი. ბოლო მონაცემებით ქვეყანაში კორონავირუსით ინფიცირების 13 325 შემთხვევაა დადასტურებული, გარდაიცვალა 211 ადამიანი.

რა შეარიგებს ორ კორეას?

ჩრდილოეთ კორეა სამხრეთ კორეასთან ყველანაირ კომუნიკაციას წყვეტს, მათ შორის ცხელი ხაზის ფუნქციონირებას.

„ჩრდილოეთ კორეა 9 ივნისს, 12:00 საათზე გაწყვეტს კავშირს სამხრეთ კორეის ხელისუფლებასთან, რომელიც შენარჩუნებული იყო საკომუნიკაციო ოფისის საშუალებით. შეწყდება კავშირი სამხედროებსა და ორი ქვეყნის ლიდერებს შორისაც“, – ნათქვამია ფხენიანის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამ გადაწყვეტილების მიზეზად სეულის მიერ ჩრდილოეთ კორეაში სააგიტაციო მასალის გაგზავნა დასახელდა.

კვლავ „ზოგი ჭირის“ შესახებ, ანუ ერიდეთ ახალ ხორცს!..

ზოგი ჭირი რომ მარგებელია, ვგონებ, საყოველთაოდაა აღიარებული. ძალიან შორს ვერ შევტოპავთ, მაგრამ სამყაროს ხელში ჩაგდებაზე მეოცნებე ხალხიც („Владей миром“) რომ ასე ფიქრობს, ფაქტია: „Не худа без добра“!..

იმ კინტოსი არ იყოს, კაკალი რომ არჩია საზამთროს შეტენვას, ჩვენც „Найменьшее зло“-ს ვამჯობინებთ. ხომ გახსოვთ, „რომ დღეს იქნება თუ ხვალ იქნება“?.. (ნიკოლოზ ბარათაშვილი, იოსებ ჯუღაშვილი), მაგრამ გამოხდა ხანი და, სადღეისოდ, ბოროტებას დიფერენეცირება აღარ უხერხდება!.. ისტორიის ამ ეტაპზე, ბოროტება, სლავური წარმომავლობისაა თუ ანგლო-საქსურის, ერთი ჭირია და „ზოგ ჭირში“ ვერ მოისაზრება!

მას შემდეგ, რაც პოლკოვნიკმა პუტინმა (შეთავსებით, რუსეთის პრეზიდენტად რომ გაამწესეს!), სახელგავარდნილ „შოუმენს“, (ჯიბიდან გავარდნილში არ აგერიოთ!), ბატონ ზელენსკის (შეთავსებით, უკრაინის პრეზიდენტობა რომ მიანდეს!), მთელი მსოფლიოს გასაგონად, საჯაროდ სთხოვა – „Возабновить украйинское гражданство госпадину Михайлу Николаевичу Саакашвили!“

ჩვენი ოპოზიციის მიერ წარამარა ხმარებული ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ლეგიტიმური ეჭვი გვიღრნის ტვინს -რას მივაწეროთ ყოველივე ეს ?!

ვისი ვიოლინო ვის როიალში კი არა, როიალი თავის ვიოლინოიანა, ვის საკონცერტო დარბაზშია?!

ახლა მცირე ტაიმაუტი თუ არ ავიღეთ, ცოტათი მაინც თუ არ დაგვეწმინდა ამღვრეული გონება, ვინძლო ბოლომდე ვერ გავიტანოთ ანეულის კვალი!..

ანტისარეკლამო ჭრა

პატივცემულო მომხმარებელო! მოერიდეთ თვრამეტლარიანი ახალი ხორცის ყიდვას! ნებისმიერ სავაჭრო ობიექტზე, აგრარული ბაზარი იქნება ეს, სუპერმარკეტი თუ ხილ-ბოსტნის მარკეტთან შეზიარებული ხორცის სექცია!!!

– აბა, რა ვჭამოთ, რა გვეშველებაო?!

–უშველებელი თქვენს მტერსა და ავს! გვეშველება, თუ მთავრობა აგვიბამს მხარს!

– მთლიანად მთელი მთავრობა?

– ყოველ შემთხვევაში, ვაჭრობის მინისტრი მაინც!

– ?!

– აა, გასაგებია! კულტურისა არ იყოს, არც ვაჭრობის სამინისტრო არსებობს, არა ? არადა, ჩვენს ჭაბუკობაში, 50-60 წლის წინათ, არათუ მარტო ვაჭრობის, გემო-კვების სამინისტროც კი იყო წამოჭიმული, აბრეშუმის ქსოვილების ფაბრიკის თავში, მარა ასე შორს წავალთ...

გუშინდელივით გვახსოვს, რაიონის ცენტრიდან, ჩხარიდან დაბრუნებული მამაჩემი რა გაცეცხლებული უყვებოდა მეზობლებს ბაზრის ამბავს: იცოდეთ, პავლე ჩხაკასგან ხორცი არ იყიდოთ, ფათერაკს გადაეყრებითო, ის შეჩვენებული დაუმწდარ ხორცს ყიდის, ძროხის სისხლსაც ხორცად გვასაღებსო! რავარია, ამ გაგანია სიცხეში, ერთი ბუზიც რომ დააჯდეს სისხლით გამბალ ხორცს, მოწამვლა ზედ გაქვთო!..

შეჩქვიფდნენ მეზობლები, რაღა გვეშველება, ზეგ მარიამობაა, ჩხაკას გარდა ხორცს არავინ ყიდისო!

რატომ გავიხსენე ახლა ეს ბავშვობის დროინდელი ეპიზოდი.

საქმე ის გახლავთ, რომ ახალი დაკლული პირუტყვის ხორცი თუ ეგრევე, სისხლდაუმწდარად მოათავსე მაცივარში (რკინის ჩანგალზე ჩამოკიდებდნენ, ჩამოატყავებდნენ და მთელი ღამით ასე ტოვებდნენ), მერე გაყინულს გამოიღებ, დაანაკუწებ და გაყიდი, გამოდის რომ, ხორცში გაბჟნილ გაყინულ სისხლსაც ხორცად შეასაღებ მომხმარებელს; ასეთი პროდუქტი კი მსწრაფლფუჭებადია. საკმარისია, ერთი ბუზიც დააჯდეს, რომ მოგწამლოს.

როგორ დავადგინოთ შეხედულად – რომელი ხორცია სისხლდამწდარი? დახლზე დაწყობილი დაჭრილი ხორცი აუცილებლად ვარდისფერი უნდა იყოს! თუ ის წითელი ან შინდისფერია, მაშასადამე, სისხლითაა გაჟღენთილი.

ანტირეკლამის დასასრული

უდიდესია და, მეტიც, გადამწყვეტია აწ უკვე მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი მედიკოსების: ამირან გამყრელიძის, თენგიზ ცერცვაძის, პაატა იმნაძის, მარინა ეზუგბაიას, ლევან რატიანისა და სხვათა წვლილი კორონავირუსთან გაჩაღებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში; აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, ბატონი პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას ყოვლად გააზრებული, ზუსტი და ეფექტური „მთავარსარდლობა“, მაგრამ არის კიდევ ერთი ფაქტორი, არანაკლებ მნიშვნელოვანი „მთელი საზოგადოების ერთიანობა და ერთსულოვნება. მათ შორის, იმ მცირე ფენისაც, რომელთაც ნაირგვარი მაქინაციებით მოხვეჭილი კაპიტალი ენანებოდათ და, მხოლოდ ამის გამო გახლდნენ პირბადეაკრულნიც და შინგამოკეტილნიც!

გიზო ზარნაძე.

P.S. ასე რომ, სიბრძნე ანდაზისა – „ზოგი ჭირი მარგებელიაო!“ – გადასინჯვას არ ექვემდებარება.

2-მეტრიანი სენდვიჩები

ინგლისში, გლოსტერშირის საგრაფოს ერთ-ერთ რესტორანში 2-მეტრიანი სენდვიჩების გაყიდვა დაიწყეს.

ბუტერბროდი შეფ-მზარეულმა იტან როჯერსმა გამოიგონა მათთვის, ვისაც ერთად სადილი და ამასთან სოციალური დისტანციის დაცვა უნდა. მან თავის ქმნილებას Back to Work Baguette (ბაგეტი „სამსახურში დაბრუნება“) დაარქვა.

სენდვიჩი 2 ადამიანზეა გათვლილი, მისი ღირებულება კი დაახლოებით 25 დოლარია. პანდემიის გამო ბრიტანეთში რესტორნები ჯერ არ გახსნილა, თუმცა დაწესებულებები მიტანის სერვისის ფორმატში მუშაობენ.

უსახლკარო, მილიონერი ქართველი...

ნიდერლანდების ქალაქ ეინდჰოვენში დაკავებულია ქართველი კაცი, რომელსაც 12,5 მილიონი ევრო აღმოაჩნდა.

დაკავებული თანხის წარმომავლობას არ ასახელებს. ადგილობრივი მედიის ცნობით, ადვოკატი აცხადებს, რომ 35 წლის კაცი უსახლკაროა.

პოლიციის ინფორმაციით, ის პირველ მაისს დააკავეს, როდესაც სამართალდამცველებმა ეინდჰოვენის ერთ-ერთ სახლში 12,5 მილიონი ევრო აღმოაჩინეს. დაკავებულს ბრალად ფულის გათეთრება ედება. ჩხრეკისას პოლიციამ ასევე ამოიღო ორი ცეცხლსასროლი იარაღი და ფულის სათვლელი აპარატი.

◎ ელამი იუმორი

კორონავირუსთანაც დავძმობილდებით!

მას შემდეგ, რაც კორონავირუსთან ლომგულად მებრძოლმა ხელისუფლებამ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხალხმრავლობა აკრძალა, დედაქალაქის ბაღებსა და სკვერებში პენსიონერთა ტრადიციული პოლიტდისკუსიებიც ძველი მთვარესავით მიილია. მაგრამ ახლა, როცა ვირუსი ერთგვარად მინელდა, ტრანსპორტი ძველი ეშხით ამოძრავდა, ბარებისა და კაფე-რესტორნების კარები სტუმართმოყვარულად გაიღო, სკვერებში ობლად დარჩენილი სკამები კვლავ ეპიდემ-არდადეგებიდან დაბრუნებული ენერგიამოჭარბებული პენსიონერებით დაიხუნძლა.

ასეთ დროს სახლში რა გამაჩერებდა, უმალ ძველ ბოტასებში გავყავი ფეხი, გახუნებული პიჯაკი გადავიცვი და ვაკის პარკში ამოჩემებულ სკამს მივაშურე. მესიამოვნა, როცა იქ ჩამომსხდარ საძმაკაცოში ჩემი ძველი მეგობარი გერონტი შალამბერიძეც დავლანდე.

– ყოჩაღ, ჩემო გერონტი, – მივმართე მას მისალმების შემდეგ დისტანციის დაცვით. – სახლში გამომწყვდეული, ნაიზოლაციევი კაცისა არაფერი გეტყობა, კვლავაც ძველებურად ხალისიანად გამოიყურები.

– რატომაც არა, ჩემო ბატონო, ხომ ხედავ, ამ საყოველთაო ეკონომიკური კოლაფსის პირობებშიც კი მთავრობა მზრუნველობას არ გვაკლებს და ივლისიდან პენსიას მთელი 30 ლარით გვიზრდის.

– პენსია კარგია, მაგრამ ეს ვერაგი ვირუსი რომ არ გვეშვება, ამაზე რას იტყვი?

– არ გვეშვება და ნუ შეგვეშვება, ჩვენმა მშველელმა ეპიდემიოლოგებმა ხომ დაგვაიმედეს – ვირუსი არსად წასულა, ის ჩვენთან არის და მასთან ერთად ცხოვრება კარგა ხანს მოგვიწევსო.

– მერე?

– ჰოდა, ვიცხოვრებთ ერთად სიამტკბილობით, მე შენ გეტყვი, ვირუსთან თანაცხოვრების გამოცდილება გვაკლია.

– გაგიუდი კაცო, რომელ გამოცდილებაზე მელაპარაკები?

– ნაცვირუსთან ერთად ცხოვრების გამოცდილებაზე. აბა, გაიხსენე, მაგ წუნკალ ნაცებთან რამდენი წელია, ერთად ხელიხელჩაკიდებული მოვაბიჯებთ?

– მაგ გველებთან ჩახუტება არ გვეყოფოდა, რომ ახლა კიდევ კორონავირუსი დაგვემატა?

– რას ვიზამთ, რახან ნაცების გესლს გავუძელით, მალე კორონავირუსთანაც დავძმობილდებით.

– დავძმობილდებით?

– ჰო, რა გიკვირს, ჩვენს დასანახავად მართალია, ნაცები და ქოცები ერთთავად ერთმანეთის თათხვაში არიან, მაგრამ სინამდვილეში, ხომ ხედავ, როგორი სიამტკბილობით „მართავენ ქვეყანას“.

– და შენ ფიქრობ, რომ ნაცვირუსის შემდეგ კორონავირუსს იოლად გადავაგორებთ? სად მაუპატიურებელი ნაცვირუსი და სად კიდევ ფეხის თათებზე მოარული, უჩუმრად სალმის გამომკვრელი, კორონავირუსი.

– რატომაც არა, ის (ნაცვირუსი) პირდაპირ ქუჩაში ავტომატის ჯერით ცხრილავდა ახალგაზრდობას, ეს კორონავირუსი კი თითო-ოროლა მოხუცს თუ გაგორებს, ეგ არის და ეგ.

– რა, თითო-ოროლას, ძმაო, აბა ნახე, მაგ შენმა ნაქებმა უჩუმარმა კორონავირუსმა ევროპასა და ამერიკაში ხალხი როგორ შემოსული ყანასავით მოცელა.

– ეგენი კორონავირუსმა იმიტომ დაიბრიყვა, რომ ნაცვირუსთან ბრძოლის გამოცდილება არ ჰქონდათ.

– მაგით რისი თქმა გინდა, ნაცვირუსმა რომ სისხლის წვიმები დაგვიყენა, მაგით სანაქებო საქმე გაგვიკეთა?

– სანაქებოს ვერ დავარქმევთ, მაგრამ ნაცვირუსის სისასტიკემ რომ კორონავირუსთან ბრძოლა გაგვიადვილა, ამასაც ვერ უარვყოფთ. შეიძლება ითქვას, ამ გამოცდილებამ კორონავირუსთან გამკლავების ვაქცინა გვაპოვნინა, ის ვაქცინა, რომელსაც ახლა საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერები თავგადაკლული ეძებენ, მაგრამ ვერ მიუკვლევიათ.

– გაჩუმდი გერონტი, გაჩუმდი! – შევძახე აღელვებულმა, – მაგ ძაღლთაპირმა ნაცებმა არ გაიგონ, თორემ...

– თორემ, რას იზამენ?

– ისედაც თავი წაგვჭამეს კვეხნით, დღეს რომ საქართველო მსოფლიოში მაღალი რეიტინგით თავს იწონებს, ეს მთლიანად ჩვენი ნაშრომ-ნაღვაწის შედეგიაო და ახლა კიდევ კორონავირუსთან ბრძოლის წარმატებასაც დაიბრალებენ.

გერონტი ლაპარაკის იშტაზე იყო და ჩემი შენიშვნა შეიძლება უადგილოდაც ეჩვენა, მაგრამ მე მაინც გაჩუმება ვამჯობინე. კორონავირუსთან უფლის წყალობით ძლივს კარგად მიგვყავს საქმე და შემეშინდა გველაძუა ნაცებმა თავიანთი ბინძური ცხვირის ჩაყოფით ყველაფერი მათთვის ჩვეული ავკაცობით არ აჩიჩქნ-დაჩიჩქნონ!



ოთარ ხუციშვილი

ასეთი იქნება ახალი სპორტის სასახლე

თბილისში, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან მიმდინარე ახალი სპორტის სასახლის მშენებლობის პროცესთან დაკავშირებით მორიგ პუბლიკაციას გთავაზობთ, ინფორმაციულად მდიდარ სტატიას თანდართული აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის შალვა გოგოლაძის კომენტარები, ასევე, ახალი სპორტის სასახლის ვიდეომაკეტი.



დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში თბილისში გამართულ თუ გასამართ ღონისძიებათა შორის ყველაზე მასშტაბური იქნება ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატი, რომელიც 2021 წელს უნდა ჩატარებულიყო, თუმცა, კორონავირუსის გამო 2022-სთვის გადაიდო. მისი ერთი ჯგუფის (15 მატჩის) მასპინძლობის უფლება ფიბა-ს ხელმძღვანელობამ იმიტომაც მოგვცა, რომ საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი დაპირდა — ევრობასკეტისთვის ახალ არენას ავაგებთო.

თავიდან ითქვა, რომ დარბაზი 15 ათას მაყურებელზე უნდა ყოფილიყო გათვლილი, თუმცა, 2020 წლის იანვარში მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით ტევადობა 10500 იქნება. ეს ფიბა-ს სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს, ხარჯებსაც დაზოგავს. თუმცა, არის ერთი ნიუანსი, რაც დღესვე შეიძლება ხმამაღლა ითქვას — საქართველოს საკალათბურთო ნაკრების მატჩებისას ყოფილა შემთხვევები, 8.5-ათასიან ძველ სპორტის სასახლეში ბილეთები თამაშამდე ერთი-ორი დღით ადრე სრულად გაყიდულა. 2022 წელს ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრების თამაშებზე დარბაზი ბოლომდე გაივსება, მნიშვნელობა არა აქვს, 10-ათასიანი იქნება თუ 15-ათასიანი. ბევრი მსურველი გარეთაც დარჩება, თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენს ქვეყანაში მსგავსი ღონისძიებები იშვიათია და რაციონალური გათვლებია საჭირო ტევადობის შერჩევისას.

ასეა თუ ისე, 2021 წლის ზაფხულში ჩვენს ქვეყანას ექნება დარბაზი, რომელიც საშუალებას მისცემს ნებისმიერ უმაღლესი დონის შეჯიბრებას თამამად და ღირსეულად უმასპინძლოს... და არა მხოლოდ სპორტულს — დღეს მსოფლიოს მასშტაბით სპორტული არენები მხოლოდ ერთი პროფილით არ შენდება, გათვლილია სხვადასხვა ისეთ ღონისძიებაზე, სადაც ათიათასობით ადამიანი იკრიბება. ასე რომ, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ახალ დარბაზში მსოფლიო ესტრადის ვარსკვლავებსაც არაერთხელ ვიხილავთ.

ევრობასკეტის მასპინძლობის უფლება 2019 წლის 15 ივლისს მივიღეთ და მშენებლობა 2020 წლის იანვარში უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან დაიწყო. თავიდან დიდი გორა მოიჭრა, რომლის ადგილზეც აქტიურად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. დღეს უკვე შეგვიძლია დარბაზის ინტერიერის ფოტოები გამოვაქვეყნოთ.

რამდენიმე დღის წინათ მშენებარე კომპლექსს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე ესტუმრა. დავინტერესდით, კორონავირუსის გამო მშენებლობა ხომ არ შეფერხებულა და რამდენად გეგმიურად მიმდინარეობს სამუშაოები.

„მთავრობამ დააანონსა, რომ 2021 წლის სექტემბრისთვის საქართველოს უნდა ჰქონოდა ულტრათანამედროვე საკალათბურთო არენა, რომელიც ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატს ღირსეულად უმასპინძლებდა. კორონავირუსის კრიზისის პერიოდში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მშენებლობა ერთი საათითაც არ შეჩერებულიყო. მინდა ამ გადაწყვეტილებისთვის მადლობა ვუთხრა პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას.

რამდენიმე დღის წინათ მშენებარე არენას კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ პაატა გურასპაულთან ერთად ვეწვიე და მახარებს, რომ ძირითადი, რთული სამუშაოები უკვე შესრულებულია. დიდი მოცულობის მიწა მოიხსნა, საძირკველი ჩაყრილია და ახლა სვეტების ამოყვანის პროცესში ვართ. დარბაზი 2021 წლის ივლისისთვის უნდა დასრულდეს. იმ ტემპით, რა ტემპითაც მუშაობა მიმდინარეობს, გვაქვს იმის თქმის საფუძველი, რომ სმშენებლო კომპანია ვადებში სრულად ჩაეტევა.

მოგეხსენებათ, ევროპის 2021 წლის ჩემპიონატი კორონავირუსის პანდემიის გამო 2022 წლის სექტემბრისთვის გადაიდო. ეს საშუალებას მოგვცემს მშვიდად, კარგად გატესტილი დარბაზით შევხვდეთ ევრობასკეტს.

მახარებს, რომ ძალიან მალე საქართველოს დაამშვენებს ევროპული სტანდარტების 10-ათასკაციანი ლამაზი სპორტის სასახლე, რომელიც ერთიანი კომპლექსის ნაწილი იქნება. ახალი არენა გვირაბით დაუკავშირდება 2015 წლისთვის აგებულ ოლიმპიურ სასახლეს, რომელშიც ორი სხვადასხვა ტევადობის დარბაზია. ერთში 3 ათასი ადამიანი ეტევა, მეორეში — 800“, — გვითხრა შალვა გოგოლაძემ.

ბეჭან დოლიძე

◎ ვითარება

სასამართლომ ბასილაშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა



თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ 9-საათიან პროცესზე, სადაც ნიკოლოზ ბასილაშვილის მხარე მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერების გაუქმებას ითხოვდა, სასამართლომ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

შესაბამისად, სასამართლომ ნელი დოროყაშვილისა და მისი არასრულწლოვანი შვილის დასაცავად გამოცემული ყველა შემაკავებელი ორდერი ძალაში დატოვა.

„თბილისის საქალაქო სასამართლომ თქვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან გამოცემული ყველა ორდერი ძალაში უნდა დარჩეს იმიტომ, რომ ის არის კანონიერი და ის ეხებოდა სამართლიან საფუძვლებს, რაც ნიშნავს იმას, რომ ძალადობა ოჯახში ჩადენილია,“ — აცხადებს ადვოკატი ანა აბაშიძე.

შეგახსენებთ, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილი 22 მაისს ყოფილ მეუღლეზე ძალადობის ბრალდებით დააპატიმრეს და 100 000 ლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ლეგიონერი

უერტასის კომპლიმენტები

„იბეროსტარ ტენერიფეს“ გამოცდილმა კალათბურთელმა მარსელინიო უერტასმა თანაგუნდელის, გიორგი შერმადინის შესახებ დადებითად ისაუბრა. რამდენიმე დღის წინათ ქართველმა ცენტრმა შეაქო ბრაზილიელი და ახლა საპასუხო კომპლიმენტიც მიიღო.

„ვფიქრობ, ჩვენ ძალიან კარგ დუეტს ვქმნით და ჩვენი კავშირი მჭიდროა როგორც მოედანზე, ისე მოედნის მიღმა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. აშკარაა, რომ გუნდისთვის გადამწყვეტია მსგავსი კავშირის არსებობა.

გიოს თამაში ჩემს სტილს ძალიან კარგად ერგება. ის გვეხმარება ფარზე, პასებით, გადმოვარდნილ ბურთებზე. მხოლოდ რამდენიმე გუნდს შეუძლია ასეთი შენაძენით დაიკვეხნოს. ჩვენი გუნდის პროექტისთვის მასთან კონტრაქტის გახანგრძლივება ძალიან მნიშვნელოვანი იყო“, - თქვა Eldia.es-სთან ინტერვიუში უერტასმა.

შეგახსენებთ, რომ მარსელინიო უერტასს თავის დროზე ლოს ანჯელეს „ლეიკერსსა“ და „ბასკონიაში“ უთამაშია და „იბეროსტარ ტენერიფეს“ გასულ ზაფხულს შეუერთდა, ისევე, როგორც შერმადინი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ვულოცავთ!

დავით კვინიკაძე - 80

დავით კვინიკაძეს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის დაბადებაში ნოდარ ახალკაცთან, მწერალ ნოდარ კობერიძესთან და ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელ ძმებთან — გურამ და ზურაბ პეტრიაშვილებთან ერთად შეტანილი სოლიდური წვლილი ეყოფა საამაყოდ.

დაუმატეთ ამას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტის, ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილისა და ჩვენი ძვირფასი კოლეგის, „ლელოს“ ლეგენდარული რედაქტორის, სეოკის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის თენგიზ გაჩეჩილაძის თანადგომა და მიხვდებით, როგორმა „შესანიშნავმა შვიდეულმა“ გაუკვალა სამამულო ფეხბურთს გზა ფიფა — უეფასკენ.

მართალია, სამ უმაღლესში სწავლობდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც სპორტს უერთგულა და ხანგრძლივი მოღვაწეობით გამოძერწა საკუთარი შეუბღალავი ბიოგრაფია, რომელსაც სპორტკომიტეტის უფროს ინსტრუქტორად მუშაობის პერიოდში ნოდარ ახალკაცთან, ავთანდილ ჭკუასელთან, ანდრო ზაზროევთან, ნიაზ ძიაპშიპასთან, გივი ჩოხელთან, ნიკა ამირეჯიბთან და უშანგი ფურცელაძესთან თანამშრომლობა ამშვენებს.

მარცხნიდან: ნოდარ ახალკაცი-უფროსი,ნოდარ ახალკაცი-უმცროსი, უეფას ყოფილი პრეზიდენტი ლენარტ იოჰანსონი, დავით კვინიკაძე, ალექსანდრე ჩივაძე

განსაკუთრებით აღსანიშნავია განათლების სამინისტროს ფიზაღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე გატარებული ნაყოფიერი წლები, როცა სამაგალითო მინისტრის ოთარ ქინქლაძის ხელშეწყობით გაზრდილ დაფინანსებას ნოვატორული ნაბიჯების გადადგმა მოჰყვა.

კერძოდ, საბჭოთა კავშირში პირველად, სწორედ მაშინ შეიქმნა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური ცენტრი, რომელმაც სისტემის ერთიანი მართვის შტაბის ფუნქცია შეასრულა; დედაქალაქში გაიხსნა ფეხბურთისა და კალათბურთის პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები; დაინერგა ეროვნული ხალხური მოძრავი თამაშობების ჩართვით გაკვეთილების დაწყებამდე და დიდი შესვენების დროს ფიზიკური აქტივობები.

სხვათა შორის, სწორედ ბატონი დავით კვინიკაძის სახელს უკავშირდება საქართველოში სპორტული თანრიგებისა და წოდებების გაუქმება — ეს საქმე ადამიანთა გარკვეულწილად დახარისხებად მეჩვენებოდაო. მოგვიანებით სფფ-ს სხვა ფედერაციებმაც მიბაძეს.

რაც შეეხება ოცნებას, „ვასილიჩი“ ეროვნული ნაკრების გამარჯვებას ერთა ლიგის გადამწყვეტ ეხვედრებში, ქართული სპორტის გლობალურ აღმავლობასა და სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა მეტ დაფასებას ნატრობს.

„აუცილებლად უნდა უკვდავვყოთ ქართული სპორტის მესაძირკვლეთა — გიორგი ეგნატაშვილის, გიორგი ნიკოლაძისა და გიორგი მერკვილაძის ღვაწლი და დავაწესოთ მათი სახელობის პრემიები“ — ამბობს უკვე 80 წლის დავით კვინიკაძე.

დასტურ!

გია პლატონიშვილი

სულთათანა

ჩვენი ერთგული მეგობარი

იური დოლიძის გახსენება

იური დოლიძე 40 წელი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში და კეთილსინდისიერად და უპრეტენზიოდ ასრულებდა თავის მოვალეობას. 25 ივნისს მას 82 წელი შეუსრულდებოდა. მისი ამ ქვეყნიდან წასვლა დაემთხვა იმ დღეებს, როცა პანდემიის გამო ყველანი შინ ვისხედით და სათანადო პატივი ვერ მივაგეთ გარდაცვლილს. ახლა ვიხსენებთ მას და გული გვწყდება, რომ ვერ გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე.

იური დოლიძე დაიბადა 1938 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ განახლებაში, 1956 წელს დაამთავრა თბილისის მე-7 საშუალო სკოლა და იმავე წელს დაიწყო შრომითი საქმიანობა თბილისის საიარაღო ქარხანაში მღარავად, 1959-64 წლებში კი — ორგანიზაცია „საფოსტო ყუთი №88“-ში ზეინკალ-ამწყობად.

1967 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის კვლევით ინსტიტუტში ჯერ საქონელმცოდნედ, შემდეგ — ტექნიკოსად.

1968-70 წლებში მუშაობდა ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის კვლევით ინსტიტუტში უფროს ინჟინრად. 1970-71 წლებში იყო თბილისის სართავ-გამოთვლითი მანქანების ქარხნის ინჟინერ-მგეგმავი, 1971-1980 წლებში კი — სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ინსტრუქტორ-რევიზორი.

1980 წლიდან იური დოლიძე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში სხვადასხვა თანამდებობებზე, ბოლოს იგი ასრულებდა სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობას. გამოირჩეოდა დიდი პასუხისმგებლობით, საქმისადმი პროფესიული და კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, რითაც აკადემიის ხელმძღვანელობისა და თანამშრომლების პატივისცემა დაიმსახურა.

ჩვენგან წავიდა გულისხმიერი და დაუზარელი პიროვნება, გურული იუმორით დაჯილდოებული, ერთგული მეგობარი, რომელსაც ყოველთვის თბილად მოვიგონებთ.

ნათელში იყოს იური დოლიძის სული.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

„ორბიტას“ დირექტორი მკაცრ სასჯელს ელოდება...

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლებმა, სამსახურებრივი მდგომარეობისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენებით, დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვის ფაქტზე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე შპს „ორბიტას“ დირექტორი მ.კ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების, საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის მიერ, ხულოს მუნიციპალიტეტში „ხიხაძირი-თხილვანა-ბაკოს“ საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის მიზნით, გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს „ორბიტას“ დირექტორმა მ.კ.-მ, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებისას წარადგინა ხელშეკრულების შესრულების და საავანსო გადახდის უზრუნველყოფის ყალბი საბანკო გარანტიები, რის საფუძველზეც შპს „ორბიტას“ საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხა ავანსის თანხა 188 000 ლარი, საიდანაც მხოლოდ 43 535 ლარის ღირებულების სამუშაოები შეასრულა, ხოლო ავანსის დარჩენილი თანხა — 144 465 ლარი, შპს „ორბიტას“ დირექტორმა მ.კ.-მ სამსახურებრივი მდგომარეების გამოყენებით გაფლანგა, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს დიდი ოდენობით ზიანი მიაყენა.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება, მ.კ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარედგინება, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

არიან თუ არა მატყუარა ადამიანები უფრო წარმატებულები?

თითოეული ჩვენგანი ტყუის და საკმაოდ ხშირადაც. ვტყუით, როდესაც გვინდა საუბრის დაწყება ან პირიქით, დასრულება. ვტყუით, რათა სხვისი ან საკუთარი გრძნობები არ შეურაცხვყოთ. ვტყუით მაშინაც, როდესაც პროფესიული საქმიანობის გამარტივება გვინდა. მოკლედ, ტყუილის ბევრი მიზეზი არსებობს. ყველამ ვიცით ისიც, რომ ადამიანები, რომლებთან ერთადაც ვმუშაობთ, ხშირად გულწრფელები სულაც არ არიან. ისინიც გვატყუებენ, რადგან ყოველთვის კარგ განწყობაზე არ არიან და ცდილობენ პირადი პრობლემები დაფარონ. მაგრამ რა ხდება მაშინ, თუ თანამშრომლების ტყუილი სამსახურის საქმეებს და მათ უფლებამოვალეობას ეხება?

მატყუარა ადამიანების დასაქმება რამდენად რეალურია?

ზოგადად, სამუშაო ადგილზე ტყუილი ნეგატიურად ფასდება. თუ ვიღაც იძულებულია, იცრუოს, ეს იმას ნიშნავს, რომ დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებს. ტყუილი სამუშაო ჯგუფში ტოქსიკურ ატმოსფეროს ქმნის. თუმცა, რაც უნდა უცნაური იყოს, არსებობს პროფესიული სფეროები, სადაც უპირატესობა ენიჭება ადამიანს, რომელიც იოლად ტყუის. უახლესი კვლევების თანახმად, არსებობს კონკრეტული მიმართულებები, რომელთა ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი ტყუილია. ამის მიზეზია ის, რომ „მოქნილი მიდგომის“ მქონე ადამიანები დაკისრებულ მოვალეობას უფრო იოლად ართმევენ თავს.

ამერიკელმა მეცნიერებმა ჩაატარეს კვლევა, რომლის მიხედვითაც ზემოთ ხსენებულ წესს აქვს გამონაკლისი იმ პროფესიებში, რომლებიც ორიენტირებულია გაყიდვებზე და არა - მომხმარებლებზე. სწორედ ასეთი სფეროა ვაჭრობა ან საინვესტიციო-საბანკო მომსახურება. თუმცა აქაც შეიძლება იყვნენ თანამშრომლები, რომლებიც მომხმარებლის ინტერესებს ითვალისწინებენ, მაშინ როდესაც სამედიცინო სფეროში არცთუ ისეთ იშვიათობას წარმოადგენს ექიმი, რომელსაც პაციენტის მდგომარეობა ნაკლებად აღელვებს.

ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებულ კვლევაში 500-მდე სტუდენტი მონაწილეობდა. მათ ჰქონდათ შესაბამისი როლები დაკისრებული. რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ ადამიანები, რომლებიც ადვილად იტყუებიან, წარმატებასაც ადვილად აღწევენ ისეთ პროფესიებში, რომლებიც ორიენტირებულია გაყიდვებზე და კადრების სამუშაოს შერჩევისას სწორედ მათ მიანიჭეს უპირატესობა. რესპონდენტების 84%-მა არჩევანი მატყუარების სასარგებლოდ გააკეთა, თუ საქმე გაყიდვებს ეხებოდა, მაგრამ სხვა სფეროში დასაქმების შემთხვევაში გამოკითხულთა 75%-მა გულწრფელ კანდიდატებზე შეაჩერა არჩევანი. ფსიქოლოგების შეფასებით, ეს შედეგები საინტერესოა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა საბოლოო.

აძვს თუ არა ტყუილს დადებითი მხარეები?

გარკვეულ კონტექსტში ტყუილი სავსებით ნორმალური მოვლენაა. ფილოსოფოსების აზრით, გარესამყარო ტყუილით არის სავსე. ვირუსები ორგანიზმის იმუნურ სისტემას ატყუებენ, ქამელეონები მტაცებლების მოსატყუებლად შეფერილობას იცვლიან და გამონაკლისს არც ადამიანები წარმოადგენენ. თითქმის ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ამბობს, რომ კადრების შერჩევის დროს, გასაუბრებაზე ყველა კანდიდატი აზვიადებს საკუთარ კვალიფიკაციას. თუმცა არის საქმიანობა, რომლის შესრულებისთვის ტყუილი აუცილებელიც კია. ამის მაგალითია დეტექტივი, რომელიც ფარულად მოქმედებს. თავად დიპლომატია კი ზოგიერთი ადამიანის თვალში ტყუილის სინონიმია.

სამუშაო ადგილზე ტყუილის ფორმულირება საკმაოდ რთული ფენომენია. მაგალითისთვის, როდესაც ზოგიერთ სფეროში თანამშრომლებს თავიანთი ემოციების დამალვას სთხოვენ, არის თუ არა ეს ტყუილი? ან მეორე: თქვენ ნამდვილად გინდათ, რომ ბორტგამცილებელი დეტალურად მოგიყვეთ ყველა იმ საფრთხეზე, რომლებიც ტურბულენტურ ზონაში მოხვედრას ახლავს? ან ბარმენმა პირში მოგახალოთ, რომ მას სულაც არ მოსწონხართ? ან ექიმმა გამოგიცხადოთ, რომ მას საერთოდ არ უნდა თქვენი მკურნალობა?

ზოგიერთი პროფესია მოითხოვს თანამშრომლების ან მომხმარებლებისადმი ზრუნვასა და თავაზიანობას, რაც რაღაც დოზით, რა თქმა უნდა, ხელოვნურია. ფსიქოლოგთა განმარტებით, რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ თუ ადამიანს თავისი ემოციების მართვა შეუძლია, ის სხვაზე ბევრად კომპეტენტურია, რადგან გრძნობების შენიღბვა რაციონალური ქცევაა.

არსებობს თუ არა უწყინარი ტყუილი?

ფსიქოლოგების მიერ ჩატარებული გამოკითხვებისა თუ კვლევების მიხედვით დგინდება, რომ ტყუილი ეთიკის ნორმებს ყოველთვის არ ეწინააღმდეგება. უფრო მეტიც, რესპონდენტების უმრავლესობა დადებითად აფასებს ტყუილს, თუ ის სხვა ადამიანის ინტერესების დასაცავად ითქვა. მაგალითისთვის, სიმსივნით დაავადებული პაციენტები ტყუილ იმედს იმაზე მეტად აფასებენ, ვიდრე ეს ექიმ-ონკოლოგებს წარმოუდგენიათ.

რა არის „პროსოციალური“ ტყუილი?

ეგრეთ წოდებული პროსოციალური ტყუილი მნიშვნელოვან ელემენტს შეიცავს. ის არ ითქმის საკუთარი ეგოისტური მიზნების მისაღწევად. ამ შემთხვევაში ატყუებენ ადამიანს თანაგრძნობის ან ზრუნვის მიზნით. გარდა ამისა, ასეთ ურთიერთობაზე შეიძლება იმოქმედოს კულტურამ და საზოგადოების ტრადიციებმაც. როგორც ზოგიერთი კვლევიდან გახდა ცნობილი, კოლექტიური საზოგადოების წევრები დიდი ალბათობით იტყუებიან, რათა საკუთარი იმიჯი და საზოგადოებაში ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნონ. ამერიკელი მეცნიერების შეფასებით, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, აქვთ თუ არა სხვა ადამიანებს ჩვენდამი კეთილი ზრახვები, მაგრამ ამბობენ თუ არა ისინი სიმართლეს, ნაკლებად გვაღელვებს.

მერილენდის უნივერსიტეტში ჩატარდა კვლევა, რომელშიც 1500-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა სხვადასხვა ქვეყნიდან. მათ შესთავაზეს ბიზნესსცენარები, რომლებშიც ტყუილი შეიძლებოდა გამოსადეგი ყოფილიყო. სტუდენტებმა ისეთი კოლექტიური ქვეყნებიდან, როგორიცაა სამხრეთ კორეა და საბერძნეთი, ტყუილს უფრო მეტ ვითარებაში მიანიჭეს უპირატესობა, ვიდრე იმ ახალგაზრდებმა, რომლებიც უფრო ინდივიდუალური კულტურის მქონე ქვეყნებიდან (ავსტრალია და გერმანია) იყვნენ. თუმცა ტყუილზე საბოლოოდ უარს არც ერთი ამბობდა. ფსიქოლოგების შეფასებით, მეორე მხრივ, არასტანდარტული მიდგომა ხანდახან წესების ნაწილობრივ დარღვევას გულისხმობს.

ზოგიერთ კვლევაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ კრეატიულობასა და ტყუილს შორის ერთგვარი კავშირი არსებობს. სწორედ ამიტომ შემოქმედებითი პროფესიების წარმომადგენლები, როცა ამას მათი საქმიანობა მოითხოვს, უფრო ადვილად იტყუებიან. თუმცა ჰონგკონგის უნივერსიტეტის მეცნიერების აზრით, ტყუილი სამუშაო ადგილზე დიდხანს ვერ დაიმალება და საბოლოოდ მაინც გამოაშკარავდება. სწორედ ამიტომ წარმატება უფრო მყარი და ხანგრძლივია, თუ ის გულწრფელობაზეა დამყარებული.

◎ დღესასწაული

მცხეთის ჯვრის გამოჩინება



საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია სულთმოფენობის შემდგომ ოთხშაბათს აღნიშნავს მცხეთის ჯვრის გამოჩინების დღესასწაულს.

ეს დღესასწაული თავისი მადლით უთანასწორდება იერუსალიმში ჯვრის გამოჩინების უდიდეს დღესასწაულს!

„...და აჰა ესერა ჩამოვიდეს ჯვარი ცეცხლისაი, დაგვირგვინებული ვარსკვლავითა და დაადგრის ზედა ეკლესიასა ვიდრე განთიადამდე, და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა ამას ზედა“.

ცხადია, რომ „ჯვარი ცეცხლისაი“, რომელიც სვეტიცხოვლის თავზე გამოცხადდა, უბრალოდ ნიშანი კი არა საკუთრივ გოლგოთის ჯვარი იყო.

საგულისხმოა, რომ ჯვრის გამოჩინების დღესასწაული ადრე მივიწყებული იყო, 2007 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II აღადგინა.

გილოცავთ მცხეთის ჯვრის დღესასწაულს!

გიული ლიპარტია

ქვევრის ღვინის საერთაშორისო კონკურსი

ასოციაცია „ქართული ღვინის“ ორგანიზებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით 2020 წლის ივლისში ქვევრის ღვინის მეოთხე საერთაშორისო კონკურსი ჩატარდება.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ქვევრის ღვინის მწარმოებლებს, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან და რეგიონიდან. საკონკურსო ნიმუშებს გასინჯავს ქართველი და უცხოელი ექსპერტებისგან შემდგარი ჟიური. ნიმუშების წარდგენა 25 ივნისის ჩათვლით იქნება შესაძლებელი.

კონკურსში მონაწილე ღვინოებიდან, მომდევნო ეტაპზე შეირჩევა გამორჩეული ღვინოები ერთ-ერთ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. ფესტივალი საქართველოში 2021 წლის აპრილში ჩატარდება.

ნიმუშების მიღება მოხდება როგორც თბილისში ასევე წინანდალში.

იტალიაში მაფიოზებს იჭერენ

იტალიაში სპეცოპერაციის ფარგლებში მაფიოზური საქმიანობის გამო 59 ადამიანი დააკავეს.

სპეცოპერაციის სამიზნე „კამორას“ დანაშაულებრივი დაჯგუფება იყო. როგორც კარაბინერებმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნეს, გამოძიებამ მეწარმეობისა და პოლიტიკის სფეროში ერთობლივი მონაწილეობის მჭიდრო ქსელი გამოავლინა.

დაკავებულებს ბრალად ედებათ მაფიოზური ორგანიზაციის შექმნა, კორუფცია არჩევნების ჩატარებისას, გამოძალვა და აუქციონებზე თაღლითობა.

იტალიური მედია ასევე იუწყება, რომ დაკავებულებს შორის სენატორი ლუიჯი ჩეზაროს სამი ძმა არის. ლუიჯი ჩეზარო სილვიო ბერლუსკონის პარტიის წევრია.

ეროვნულ პარკში 10 წლის წინ დამალული განძი იპოვეს

განძი ამ ადგილას კოლექციონერმა ფორესტ ფენიმ დამალა.

სკივრის შესახებ, რომელშიც ინახებოდა ძვირფასი ქვები, ოქროს მონეტები, საიუველირო ნაკეთობები 2010 წელს კოლექციონერმა თავის ავტობიოგრაფიაში დაწერა. მან განძის დამალვის გადაწყვეტილება 1990 წლის ბოლოს მიიღო, როცა სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. ამ გადაწყვეტილებით მას სურდა, საკუთარი თავის ხსოვნა გარანტირებული გაეხადა. ექიმებმა დაავადების შეჩერება შეძლეს, თუმცა კოლექციონერმა განძის დამალვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება მაინც არ შეცვალა.

ფენის ინფორმაციით, მას დაუკავშირდა ადამიანი, რომელმაც განძით სავსე სკივრი იპოვა. ამის დასადასტურებლად, მან კოლექციონერს ფოტო გაუგზავნა. განძის მპოვნელმა ინკოგნიტოდ დარჩენა გადაწყვიტა. განძის მაძიებელს სკივრის პოვნაში კოლექციონერის წიგნში გამოქვეყნებული ლექსი დაეხმარა.

კოლექციონერის წიგნში საგანძურის საპოვნელად 9 გამოცანაა. განძს 1000-მდე ადამიანი ეძებდა, აქედან ოთხი ადამიანი განძის ძებნისას დაიღუპა. ფენი აცხადებდა, რომ განძი უსაფრთხო ადგილას იყო, თუმცა მაძიებლებს სიფრთხილისკენ მოუწოდებდა.

გამოცემის კითხვაზე, როგორ გრძნობს კოლექციონერი თავს განძის პოვნის შემდეგ, ფენიმ უპასუხა, რომ ის ნაწილობრივ მხიარულია, ნაწილობრივ კი სევდა მოეძალა, რადგან განძის ძებნის ისტორია დასრულდა.

ჯეკპოტი - ცოლის ნაჩუქარი ბილეთით

დაბადების დღისთვის ცოლის ნაჩუქარი ლატარიის ბილეთით ავსტრალიელმა ჯეკპოტი,4350,000 მოიგო.

წყვილის ბილეთი 10 გამარჯვებულს შორის იყო. შესაბამისად, თანხა მათზე განაწილდა. ჯეკპოტის მთლიანი რაოდენობა 4347 862 34-ს შეადგენდა.

„პენსიონერები ვართ, ასე რომ, ბევრი დრო გვაქვს იმის დასაგეგმად, როგორ გამოვიყენებთ ამ თანხას დროის სასიამოვნოდ გასატარებლად“, - განაცხადა საჩუქრის ავტორმა.

ყველაზე მაღალი ძაღლი მსოფლიოში

ინგლისში, ნორფოლკის საგრაფოში გერმანულმა დოგმა სახელად ფრედიმ, მსოფლიოში ყველაზე მაღალი ძაღლის სტატუსი მიიღო და ახალი რეკორდიც დაამყარა.

გინესის წიგნის თანახმად მსოფლიოში ყველაზე მაღალი გერმანული დოგი, ამავე დროს ამ ჯიშის ძაღლებში ყველაზე ხანდაზმულიც აღმოჩნდა.

17 მაისს ფრედი 8 წლის გახდა. მისმა პატრონმა ამ თარიღთან დაკავშირებით ზეიმი მოაწყო. შეუკვეთა სპეციალური ტორტი, რომელიც ფერადი ბუშტებით და ძვლებით იყო მორთული. კლერ სტონმანი ამბობს, რომ ბედნიერია, რადგან გერმანულმა დოგმა ფრედიმ, ამდენი წელი იცოცხლა და კვლავ მათთან ერთად არის.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9805; ევრო - 3.3599;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7656;
100 რუბლი - 4.3688; თურქული ლირა - 0.4392;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7532;
1000 სომხური დრამი - 6.1846.

ამინდი 10 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+34
მთიანი რაიონები -	ღამე	+9,	დღე	+33
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+19,	დღე	+38
მთიანი რაიონები -	ღამე	+14,	დღე	+35
თბილისი:	ღამე	+17,	დღე	+33

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge